ოლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მესამე.

კომუნისტი

ს. კ. კ. პ.
ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ., წ. არ. და მატრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუსთველის პროსპექტი
№ 24, მეორე სართული.
რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.
ტელეფონ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივანის 10—58.

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთველის პრ. № 24,
ტელეფონი 14—76.
ხელის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში—13.000.000 მ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—14.000.000 მან. კოლექტ. ხელის მოწ. 10.000.000 მ. განცხადება 15 კ. ჩერვონცებით ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მან. ჩერვონცებით.

დღიური

პოლონეთის აჯანყებულმა მუშებმა ხელში ჩაიგდეს ქალაქი კრაკოვი.

სოციალისტურ პარტიის ბელადების მოღალატეობის გამო ჩაიშალა საყოველთაო გაფიცვა.

ლოზანაში დაიწყო ამხ. ვოროვსკის მკვლელის გასამართლება.

ბავარიაში მოხდა მონარქისტული გადატრიალება, რომელსაც ხელმძღვანელობს ჰიტლერი.

გენერალი ლიუდენდორფი ჰიტლერის მიერ გამოცხადებულია საიმპერიო ჯარების მთავარსარდლად

№ 259 შაბათი, 10 ნოემბერი 1 23 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 500,000 მ ნ. № 259

პანების ტახტი შეირყა

ღევანდელ პოლონეთზე, მისი ჯურების თავგასულობის გამო, ოგადოების ზოგიერთ წრეებში აზრი შემუშავდა, თითქოს ის მოადგენდეს პანების მიუვალ ე-სიმაგრეს. დაახლოებით იგი აზრია გავრცელებული მცირე ანტის და ბალკანეთის ზოგი სხვა ქვეყნებზეც. ბულგარე მასიურმა აჯანყებამ ნათელ , რომ ამ ქვეყნებში მოიპოვება მათ მნიშვნელოვანი ამაფეთ ელი, მასალა, რომელიც დროის გარემოების შერჩევით შეიძლე ქნეს გამოყენებული იქ არსე ლი წესწყობილების ასაფეთქებ ით. ხოლო ის ამბები, რომელ ასპარეზად გადაქცეულია ამჟა პოლონეთი, მოწმობენ იმაზე, როგორ სცდებიან ისინი, ვი დაშინებული თავგვით გულ ველათ ეჩვენებათ, რომ „კატა უფრო ძლიერი არც ერთი მხე არ არის“. როგორც მკითხვე ს მოეხსენება, პოლონეთში ად ი აქვს დღეს ფართე რევოლი იონურ მოძრაობას, რომელიც იწყო ეკონომიური გაფიცვე , გაგრძელდა პოლიტიკური იათის მოთხოვნებით (ინტერ ციის წინააღმდეგ გერმანიის ამ ბში) და ჩვენ თვალწინ იღებს ულიათ გარკვეულ სახეს საბ თა ძალა-უფლებისათვის ბრძო ისას. მოხდა რამოდენიმე შე კებები ჯარსა და მუშებს შო ს ქ. კრაკოვში, ამასთან ადგი ი ჰქონდა ისეთ მოვლენას, რო მაც გამანადგურებელი შთა დილება მოახდინა პოლონეთის ბატონებულ კლასებზე, ხოლო ერგია შემატა ბრძოლაში ჩაბ ლ რევოლიუციონურ მასებს. კოვში ბრძოლის დროს სამი ლკი დანებდა მუშებს, გადაე მათ იარაღი. რევოლიუციო ჩავარდა ხელში 9000 თოფი, 12 ზარბაზანი და ერთი ჯავშნოსანი, გაყარეს ქალაქიდან ლი გარნიზონი. როგორც ქვით ჯარის მიერ მუშებისათ ს იარაღის გადაცემამ, ჯარისა მუშების დაძმობილებამ, მოახ ნა დიდი შთაბეჭდილება. მთე ი რეაქციონური პრესა ერთ ათ მოსთქვამს, რომ ჯარი, ეს საყრდენობი პანების ბატონობის, ღვევა და საჭიროა მისი „გან ურნვა“. როგორადაც არ უნდა თავდეს ეს ბრძოლა დღეს— ერთი გარკვევით შეიძლება ით ას: პოლონეთის პანების ცი ამგრეს წყალი შეუდგა და სიც შეტორტმანდა, მისი დამ ველი ჯარის ნაწილები „დაავადმყოფებული“ არიან რევოლიუციონური ,,სენით‘‘, „რევოლიუციონური ბაცილები“ ხრავენ მათ „ერთგულებას‘‘ პანებისადმი და დისციპლინას.

რევოლიუციონურმა მოძრაობამ, რომელიც საყოველთაო გაფიცვის სახით მოედო მთელს პოლონეთს და ალაგ-ალაგ მიიღო სისხლისმღვრელი შეტაკებების ხასიათი, დღეს ნათლათ დაანახვა ყველას, თუ როგორი ძალა ღვივის პანების სამეფოში და რას წარმოადგენს მისი სამხედრო ძლიერება. მაგრამ ამავე მოძრაობამ ერთხელ კიდევ ნათელჰყო იქაური მენშევიკების როლი. **მენშევიკი ნიშნავს მოღალატეს რევოლიუციისას და მუშათა კლასისას.** რამდენჯერ მოუცია დღევანდელ რევოლიუციონურ სინამდვილეს ამისი მაგალითიები. და ერთი მათ შორის არის პოლონეთის ,,პეპესეელები‘‘-ს (პოლონეთის პარტია სოციალისტების) საქციელი ამ გაფიცვის დროს. როდესაც გამოაშკარავდა, რომ თავიდან მათივე თანხმობით დაწყებული საგაფიცვო მოძრაობა იღებს მკაცრ რევოლიუციონურ ხასიათს და ალაგ-ალაგ ამარცხებს პანების ხელისუფლების ორგანოებს—მათ შეეშინდათ თავიანთი აჩრდილის და უკან დაიხიეს. მათ უკვე გამოაცხადეს გაფიცვა დათავებულათ.

ასეთ პირობებში, როდესაც ერთი კაცის განზე გადგომასაც საერთო რიგებიდან აქვს მნიშვნელობა და შეუძლია შეიტანოს დეზორგანიზაცია ბრძოლაში, ,,პეპესეელების‘‘ მოქმედებას შეუძლია მოლიად ერთიანათ დ ღუპოს ასეთი ერთსულოვანებით და მწყობრათ დაწყებული მოძრაობა. ამის ნიშნები უკვე არის დღეს. მათ დაიწყეს მოლაპარაკება მთავრობასთან და ყოველი პირობის გარეშე ნებდებიან მას, ასრულებენ მის მოთხოვნებს, მაგრამ როგორი მოღალატური აქტი არ უნდა ჩაიდინონ მათ, ისინი საბოლოოთ ვერ შეაკავებენ პანების ბატონობის დაღუპვის პროცესს, პირიქით თვალს აუხელენ მუშებს თავიანთ ვინაობაზე.

პოლონეთის ამბებს აქვთ იმდენათ დიდი მნიშვნელობა ამ ქვეყნის მშრომელი მასების გამოფხიზლებისა და პანების რეალური ძალების გამოაშკარავებისათვის, რომ მოძრაობის დამარცხება—ფაქტიც რომ გახდეს ეს—სავსებით გამოსყიდული იქნება ამ მნიშვნელობით.

ჩვენი რიგებისაკენ

გადამწყვეტ კლასობრივ ომე პერიოდში, რომელშიაც იმყოფება მთელი მსოფლიო, გან უჩვეულო სისწრაფით ნარეობს სოციალურ ძალე არიზმვა ორ უკიდურეს ბა

რევოლიუციონურ პროლეტართან და მის პარტიასთან, კრსტურ პარტიასთან, ან მელებთან, რეაქციასთან, თან,—ასე გადაჭრით აყენ საკითხს მიმდინარე სინამ

თან იშლებიან შუათანა პარტიები და თავიანთი კლასობრივი ბუნების მიხედვით ჰპოულობენ საბოლოო ადგილს ბარიკადების აქეთა ან იქეთა მხარეზე.

ეს პროცესი საზოგადოებრივ თა კრისტალიზაციის, მათი დიფერენციაციისა ლოღიკურ დასრულომდე, ძლიერმად შეეხო საქართველოში მომქმედ პარტიებს.

საბჭოთა ხელისუფლების მესამე წელზე მოხდა ჩვენში ოდესღაც უდიდესი და უძლიერესი პარტიის, მენშევიკური სოციალ-დემოკრატიის დაშლა.

კომუნისტური პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების რევოლიუციონურმა და აღმშენებლობითმა მუშაობამ, ერთი მხრით, ხოლო მეორე მხრით მენშევიკების ზედა წრეების სისტემატიურმა და აშკარა მოღალატეობამ მშრომელი ხალხის მიმართ, გამოაფხიზლა მენშევიკური მასა, რომელმაც თავის ყრილობაზე ლიკვიდაცია მოახდინა მენშევიკური პარტიის; ის დადგა საბჭოთა სისტემის პლატფორმაზე და კომუნისტური პარტიის დროშის ქვეშ.

ასევე მოიქცნენ ამას წინედ ,,ახალგაზრდა მარქსისტები‘‘.

აგრეთვე დაიშალნენ ე. წ. ნაციონალ-დემოკრატები, რომელთაც ფეხიდან გამოეცალათ ყოველგვარი ნიადაგი საბჭოთა საქართველოს სოციალ-ეკონომიურ და პოლიტიკურ პირობებში.

ამგვარად ჩვენ ვხედავთ, რომ ჩვენში სავსებით მოისპნენ ანტისაბჭოთა პარტიები, დაირღვა ანტისაბჭოთა ფრონტი, ამასთან გაძლიერდა ფრონტი რევოლიუციის, მის დამცველთა რიგებში კომუნისტებს გვერდში ამოუდგნენ ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელი ელემენტები.

რევოლიუციონური ძალების კონსოლიდაციის პროცესი ამით არ გათავებულა.

მემარცხენე ფედერალისტების თვითლიკვიდაცია, რომელიც მოახდინა მათმა ეხლანდელმა ყრილობამ, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯია ამ მიმართულებით გადადგმული.

ჩვენ დღეს არ შეუდგებით ფედერალისტთა პარტიის წარსულის შეფასებას. ამაზე ჩვენ მრავალჯერ, წინედაც და სულ ბოლო ხანებშიაც გვქონდა ლაპარაკი.

მით უმეტეს არ გამოუდგებით ამ წარსულის გადმოლაგებას, რომ მისგან გაიმიჯნენ თვით მემარცხენე ფედერალისტები.

მემარცხენე ფედერალისტები დღიდან საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებისა დადგნენ საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმაზე. ამ სამი წლის განმავლობაში ისინი, თავიანთი ძალების მიხედვით, მუშაობდნენ ჩვენთან ერთად, ემსახურებოდნენ რევოლიუციის და ხელს უწყობდნენ საბჭოთა აღმშენებლობას. ჩვენს პირობებში ამას საკმაო დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა. ამას ჩვენ აშკარად ვამბობთ.

ისიც უნდა ვთქვათ, რომ ამ დროის განმავლობაშიც ზოგიერთ გაუგებრობას მაინც ჰქონდა ადგილი ჩვენსა და მათ შორის. მაგრამ ეს, უნდა ვიფიქროთ, უფრო იყო შედეგი წარსულისაგან მათზე გადმოცემული ტრადიციების, რომლებისგან სავსებით განთავისუფლება არც ისე ადვილი იყო მათთვის, ვინემ დღევანდელი რევოლიუციის შეფასებაში ჩვენ შორის ძირითადი განსხვავების.

მაგრამ რაც დრო გადიოდა, მით უფრო თავისუფლდებოდნენ ისინი წარსულის ნაშთებისაგან, მით უფრო გასაგები და მისაღები ხდებოდა მათთვის ჩვენი მიზნები და მათ განსახორციელებლად არჩეული გზები და საშუალებანი.

და დღეს ისინი საჯაროდ აცხადებენ: „სოციალიზმი უნდა დამყარდეს ბოლშევიკური მარქსიზმის დროშით, რევოლიუციას წინ უნდა უძღოდეს მარქსისა და ლენინის სურათი... აქეთკენ მოუწოდებთ ჩვენ რიგებსაც‘‘ (,,ტრიბუნა‘‘, № 616).

საგულისხმო აღსარებაა.

ცხადია, რომ ამის შეგნებამდე მისვლის შემდეგ აზრი ეკარგებოდა მემარცხენე ფედერალისტების ცალკე ორგანიზაციულ არსებობას.

მართლაც, ამ პარტიის ადგილობრივ ორგანიზაციებში, როგორც ხსენებული გაზეთიც გვამცნობს, კარგა ხანია მომწიფებული იყო აზრი თვითლიკვიდაციის საჭიროების და თავიანთი ძალების უშუალოდ კომუნისტური პარტიისათვის დაქვემდებარების შესახებ.

მემარცხენე ფედერალისტების ეხლანდელმა ყრილობამ ამ, მათში უკვე მომწიფებულ აზრს ფორმალური გამოხატულება მისცა და თავისი პარტია გაუქმებულად გამოაცხადა.

ეს უეჭველად მნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენი პოლიტიკურ ცხოვრებაში. ეს მაჩვენებელია, ერთი მხრით, მემარცხენე ფედერალისტების რევოლიუციონურ შეგნების ზრდის, მეორე მხრივ— ჩვენი პარტიის ავტორიტეტის. ეს ჩვენი პარტიის ერთი დიდი გამარჯვებათაგანია, გამარჯვება, მიღწეული არა ბრძოლის ველზე, არამედ იდეურ და მორალურ სფეროში.

ვერავინ იტყვის, რომ ჩვენს პარტიას რაიმე ძალდატანებითი ზომები მიეღოს მემარცხენე ფედერალისტების წინააღმდეგ. თვითონ ისინი სრული ნებაყოფლობით და შეგნებით მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ მხოლოდ კომუნისტური პარტიაა ის ერთად ერთი ძალა, რომელიც მეთაურობს ძლევამოსილ რევოლიუციას და რომელსაც შესწევს უნარი უდიდესი აღმშენებლობითი მუშაობის, ქვეყნის აღორძინების.

მემარცხენე ფედერალისტების ყრილობამ ეს აღიარა და ის დადგა კომუნისტური პარტიის დროშის ქვეშ.

ჩვენ ვესალმებით ამ ნაბიჯს. მათი უშუალოდ დაკავშირება კომუნისტურ პარტიასთან უეჭველად სასარგებლოა რევოლიუციისა და მშრომელი ხალხის ინტერესებისათვის.

სტუდენტების აღწერა

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებს თავიანთ საორგანიზაციო, აღმშენებლობითი და სამეურნეო ცხოვრებაში დიდი წინსვლა ემჩნევა.

აღსანიშნავია უმაღლეს სასწავლებლების რეორგანიზაცია, მათი წესდების შეცვლა, რომლის მიხედვით პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს და სტუდენტთა საბჭოს წარმომადგენლებს პროფესორთა საბჭოში გადამწყვეტი ხმის უფლება აქვთ. უმაღლეს სასწავლებელმა მიაღწია თავის მოღვაწეობაში **საბჭოთა ხელისუფლების მიერ აღიარებულ კლასიურ** პრინციპსაც და ამიერიდან უნივერსიტეტში აბიტურიენტი მხოლოდ კლასიურ შემადგენლობის მიხედვით მიიღებიან, როგორც ეს წელს მოხდა.

ამგვარათ, ჩვენი ახალგაზრდობა, მომავალი ჩვენი მეცნიერულათ და სპეციალურათ მომზადებული თაობა, საბჭოთა ხელისუფლების პრინციპზე აღზრდილი, შეიქნება მუშათა და გლეხთა ძალაუფლების განმტკიცებელი. მართალია ჩვენს სტუდენტობას ჰქონდა წვრილ ბურჟუაზიულ პარტიების ზეგავლენით თავის განვითარებაში მცირე-მერყეობა, რაც გამოიხატა 1921 | 22 სასწავლო წელს აკადემიურ საბოტაჟში, მაგრამ ეს შეცდომა დღეს გადალახულია და მთელი ჩვენი ახალგაზრდობა ჩაბმულია რევოლიუციონურ ძალა-უფლებით მოპოვებულ თავისუფალ აკადემიურ ცხოვრებაში.

დღეს, როგორც საქართველოში, ისე დასავლეთ ევროპის სხვადასხვა ქალაქებში მყოფი სტუდენტობა უკვე განმტკიცებულ ენერგიით ამოუდგა გვერდში მეცნიერებას და შეიგნო, **რომ რევოლიუცია და მეცნიერება ძმებია**, და ჩახედულია იმაში, რომ პირველის განვითარებით მეორის განვითარებაც ბუნებრივია.

ამ შემეცნების საუკეთესო დამამტკიცებელია საქართველოში პროლეტარულ სტუდენტების ცენტრალურ ბიუროს დაარსება.

მე არ შეუდგები სტუდენტების ასეთ ორგანიზაციის მიზნების ახსნა-განმარტებას, რადგან ამის შესახებ თვით სტუდენტების გამოცემები მოგვცემენ სათანადო ახსნა განმარტებას, ხოლო აღვნიშნავ ამ ორგანიზაციის მუშაობაში ისეთ საყურადღებო მომენტს, რომელიც დღეს იპყრობს მთელ პროგრესიულ სტუდენტობის ყურადღებას.

პროლეტარულ სტუდენტების ორგანიზაციამ საუკეთესოდ იცის ჩვენი სტუდენტობის მდგომარეობა. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელშიაც ამჟამათ 5000-დე მოსწავლეა და უმეტესობა მათგანი საჭიროებს სხვადასხვა სახის დახმარებას. სტუდენტების ახალი ორგანიზაცია უწევს ამხანაგების მატერიალურ მდგომარეობას ანგარიშს და ის მხოლოდ ამ მიზნით უძღვება სტუდენტების საერთო აღწერას ტფილისში.

9 ნოემბერს იწყება ერთ საერთო აღწერა ტფილისის ყველა უმაღლეს სასწავლებელში (სახელმწიფო უნივერსიტეტში, ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში, სამხატვრო აკადემიაში, სახელმწიფო კონსერვატორიაში, ა. | ქ. კომუნისტურ უნივერსიტეტში და ორივე მუშათა ფაკულტეტზე), პროლეტარულ სტუდენტების ტფილისის კომიტეტის მიერ.

ამ აღწერის მთავარი მიზანია გამოარკვიოს ყოველ სტუდენტის სოციალური, ეკონომიური, პროფესიონალური და აკადემიური მდგომარეობა. ასეთ თვისებების გარკვევის შემდეგ უკვე ყოველ სტუდენტზე შეიძლება იქნეს მსჯელობა, თუ ის რამდენათ მისაღები და ღირსია გახდეს სტუდენტთა ეკონომიურ, თუ პროფესიონალურ ორგანიზაციების წევრათ.

ამის გამორკვევა ჩვენს სტუდენტურ ორგანიზაციებს საშუალებას აძლევს პირველ რიგში განსაკუთრებულ ყურადღებით მოეპყრონ ისეთ მასსას, რომელიც ეკონომიურათ ძალიან შევიწროებულია. შევიწროებულთათვის, როგორც ახლა, ისე მომავალში უფრო და ფართო მასშტაბით იარსებებს სასადილოები, კოოპერატივები, დამხმარე კასები და პროფესიონალურ კავშირების საბჭოსთან სტუდენტების სპეციალური ბიურო, რომელიც სტუდენტის სურვილისამებრ ჩარიცხავს მას სათანადო კავშირში სრულუფლებიან წევრათ და ჩააბამს, როგორც ეკონომიურ, ისე პროფესიონალურ მუშაობაში, რაც ჩვენ ახალგაზრდა და ენერგიით სავსე სტუდენტობას თანდათან დაახლოებს მუშათა ორგანიზაციებთან და დაამყარებს ერთგვარ კონტაქტს მუშებსა და მეცნიერულათ მომზადებულ სპეციალისტებს შორის. ჩვენი ახალგაზრდა სტუდენტობის და ხელმძღვანელ ორგანიზაციების და განსაკუთრებით პროლეტარულ სტუდენტთა ბიუროს მთავარი მიზანი უნდა **იყოს დაახლოვოს მომავალი სპეცები მუშათა ორგანიზაციებს, რომლებიც ბუნებრივათ ჩვენ მომავალ აღმშენებლებს ჩააბამენ ამა თუ იმ დარგის პრაქტიკულ მუშაობაში.**

ცნება „რევოლიუცია და მეცნიერება ძმებია“ შეგვიძლია ამით განვამტკიცოთ და შორს არაა ის დრო, როცა ჩვენში დავინახავთ ეკონომიურ და პოლიტიკურ ორგანიზაციებთან ერთად მეცნიერულად მომზადებულ ახალგაზრდა ძალებს.

დღეს ჩვენი სტუდენტობის მუშაობა ფასდაუდებელია, სტუდენტობა თავის აკადემიურ, ეკონომიურ და პროფესიონალურ ხასიათის აღმშენებლობით მუშაობაში უკვე ჩაბმულია. ჩვენს სტუდენტობას არ ავიწყდება ტრადიცია თავის წინა-მორბედების, რევოლიუციონურ სტუდენტების და იმგვარივე ენტუზიაზმით იღწვიან თავიანთ ახალ საქმეს. ჩვენ ვუსურვებთ სტუდენტობის ახალ ორგანიზაციებს გამარჯვებას და მეტი შემოქმედებითი მუშაობას სტუდენტების საკეთილდღეოთ.

ამ ფრიად სიმპატიურ დასაწყისს ესაჭიროება ყველა ორგანიზაციების მხრივ ზრუნვა. პროფკავშირთა საბჭო განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სტუდენტობის წამოწყებულ საქმეს. ასეთივე ყურადღებით უნდა მოეპყრას ამას მთავრობა და სხვა სახელმწიფო, თუ საზოგადო ორგანიზაციები, რომ დაწყებული საქმე ჩვენი მეცნიერულ და სპეციალურ ძალების განსავითარებლათ სტუდენტობის საკეთილდღეოთ დათავდეს.

სიტყვით და საქმით დახმარება ესაჭიროება ჩვენს ღარიბ სტუდენტობას და ამას შესძლებენ მხოლოდ ის ორგანიზაციები, რომლებიც კერძო დახმარების გარდა სტუდენტების ორგანიზაციების შეფობას მიიღებენ.

პირველი შეფობა უსათუოდ უნდა მივაკუთვნოთ **საქართველოს სახალხო სამეურნეო საბჭოს და მიწათმოქმედების კომისარიატს.**

დ. კანდელაკი.

სამოქალაქო ომი გერმანიაში

(„ზაკროსტა“-ს ცნობები).

მონარქისტული გადატრიალება ბავარიაში: ბავარიაში მოხდა მონარქისტული გადატრიალება, რომელსაც ხელმძღვანელობს ჰიტლერი: ის მომხრეა ჰოგენცოლერნის დინასტიის აღდგენის.

ბავარიის მთავრობის დატუსაღების შემდეგ, ჰიტლერმა ლიუდენდორფი გამოაცხადა სრულიად გერმანიის სამხედრო მინისტრად და ყველა შეიარაღებული ძალების მთავარსარდლათ.

საიმპერიო მთავრობა არ სცნობს ჰიტლერის მთავრობას.

იუდა ისკარიოტელები: გამოირკვა, რომ წითელ ტიურინგიაში რეიხსვერი შევიდა სოციალ-დემოკრატების თანხმობით.

ყვითელი პროფკავშირები მოუწოდებენ მუშებს ჩაეწერონ პოლიციაში.

შტრეზემანის მთავრობა აღსასრულის წინ: შტრეზემანი მოლაპარაკებას აწარმოებს ნაციონალისტებთან, რომლებიც თავის მხრით მოითხოვენ მთავრობიდგან დემოკრატების გაძევებას.

ბერლინში დარბევა შეწყდა; მიუხედავათ ამისა უსურსათობის ნიადაგზე მაინც მოელიან კიდევ ახალ არევ-დარევას.

მონარქისტული გადატრიალება ბავარიაში

კარის მთავრობის დამხობა.

პარიზი. 9 ნოემბ. დღეს, ღამით ჰიტლერმა დაამხო ბავარიის დიქტატორი კარი და ბავარიის მთავრობა, რომელსაც ფონ-კნილინგი მეთაურობდა. ჰიტლერმა თავისი თავი სრულიად გერმანიის დიქტატორად გამოაცხადა, ლიუდენდორფი კი საიმპერიო სამხედრო მინისტრად და ნაციონალური არმიის მთავარსარდლად. ბავარიის მთავრობის პრემიერად დანიშნა პოლიციის ყოფილი პრეფექტი პოხნერი, ბავარიის სამხედრო მინისტრად გენერალი ლოსსოვი. ბავარიის პრემიერი კნილინგი და შინაგან საქმეთა მინისტრი შვაიერი დატუსაღებულად არიან გამოცხადებული. ორი სხვა მინისტრი (გვარები არ არის აღნიშნული), რომელთაც ბრალდებათ შტრეზემანთან მოლაპარაკება, დაატუსაღეს და მიუნხენის ციხეში მოათავსეს.

როგორ მოხდა გადატრიალება:

პარიზი. 9 ნოემბ. გადატრიალება შემდეგნაირათ მოხდა: დღეს, ღამით, პოლიტიკური კრების დროს, რომელზედაც ბავარიის დიქტატორმა კარმა სასტიკად გაილაშქრა სოციალისტური პარტიების წინააღმდეგ, ჰიტლერი წამოხტა ადგილიდან და დაიძახა: **„ჩვენ გადავწყვიტეთ გამოვაცხადოთ ნაციონალისტების დიქტატურა“. იმავე წუთში ჰიტლერის რაზმი შემოვიდა დარბაზში და გაისროლა ჰაერში.**

კრებაზე აურ-ზაური მოხდა. ჰიტლერი, რომელიც იარაღია ჰოგენცოლერნების და ლიუდენდორფის ხელში პრინც რუპრეხტის წინააღმდეგ, ავიდა ტრიბუნაზე და განაცხადა, რომ **ბავარიის ნაციონალისტურმა ორგანიზაციებმა გადასწყვიტეს გამოაცხადონ ნაციონალისტების დიქტატურა.** „დღეს,—განაცხადა ჰიტლერმა,—გერმანიის რესპუბლიკათ გამოცხადების 5 წლის თავზე, რომელმაც ქვეყანა გაღატაკებამდი მიიყვანა, **ჩვენ ვაცხადებთ ახალ ნაციონალურ ძალაუფლებას**, რომელიც გადაარჩენს გერმანიას“. იმავე დროს ჰიტლერმა გასცა ბრძანება კარის და კნილინგის მთავრობის გადაყენების და კნილინგის და შვეიერის დატუსაღების შესახებ“.

იუდა ისკარიოტელები

სოციალ დემოკრატ-მინისტრების მოღალატეობა.

ბერლინი. 7 ნოემბერი. რეიხსვერი მოღალატურად იქნა მიწვეული ტიურინგიაში სოციალ დემოკრატ მინისტრების მიერ კომუნისტ მინისტრების დაუკითხავად. პროფკავშირები მერყეობენ. სოციალ-დემოკრატებს იმედი აქვთ, რომ კომუნისტი მინისტრები გადადგებიან. კომპარტია თითქმის ყველგან არალეგალურ მდგომარეობაში გადავიდა. კომუნისტური პრესა აკრძალულია. ხდება მასიური დატუსაღება. კომპარტია განაგრძობს ბრძოლას პროლეტარული დიქტატურისათვის.

მენშევიკები და კრონპრინცი.

პარიზი. 9 ნოემბერი. ხუთშაბათს ელჩთა კონფერენცია იხილავდა საკითხს გერმანიაში კრონპრინცის დაბრუნების შესახებ.

„ტან“ ადასტურებს ცნობებს, რომ **შტრეზემანის კაბინეტმა, ჯერ კიდევ იმ დროს, როცა სოციალ-დემოკრატები მთავრობაში შედიოდნენ ნება მისცა ყოფ. კრონპრინცს სამშობლოში დაბრუნების და სილეზია (სილეზია) დასახლების.**

მოღალატეები

ბერლინი. 9 ნოემბ. ჰამბურგის სენატმა დაადგინა ნება მისცეს ადმინისტრაციას დაატუსაღონ ჰამბურგის საბჭოს კომუნისტი წევრები, რომელთაც ბრალათ ედებათ ჰამბურგის აჯანყებაში მონაწილეობის მიღება. ყვითელი კავშირები—ხელიხელ ჩაკიდებულნი მუშაობენ პოლიციასთან ერთად.

ბერლინი. 7 ნოემბერი. გერმანიის ყველა კავშირებმა გამოუშვეს საერთო მოწოდება, რომელშიაც მოუხმობენ შეკავშირებულ მუშებს დაიცვან რესპუბლიკა. პოლიციამ დაიწყო 2500 ჯარისკაცის მიღება, რომელნიც ერთგულნი უნდა იყვნენ კონსტიტუციის. **პროფკავშირები წინადადებას აძლევენ თავის წევრებს შევიდნენ პოლიციის რიგებში.**

მენშევიკების ბრალია.

ბერლინი. 8 ნოემბერი. საქსონიის რეიხსვერის სარდალი მიულერი აცხადებს, რომ მდგომარეობა ჩრდილოეთ-ბავარიაში არ ბადებს არავითარ საფრთხეს და ბრალს სდებს ტიურინგიის მთავრობის გადაჭარბებული ხმების გავრცელებაში. **„ფორვერტს“ და სხვა სოციალ-დემოკრატიულ გაზეთებს კრიტიკა არ დაუძრავთ საპროტესტოთ. ტიურინგიაში კომუნისტებს შორის სასტიკი უთანხმოებაა.** პარლამენტის გარეშე ინტერპარტიულ კომისიაში მინისტრმა—კომუნისტმა ნეიბაუერმა განაცხადა, რომ **რეიხსვერის შესვლა ტიურინგიაში მოხდა სოციალ დემოკრატ მინისტრების ინიციატივით.** პროტესტის ნიშნათ სოციალ დემოკრატებმა დასტოვეს სხდომის დარბაზი

შტრეზემანის მთავრობა აღსასრულის წინ

კომუნისტების დევნა.

ბერლინი. 8 ნოემბერ. ოთხშაბათს რეიხსვერმა დაიჭირა გირმანდორფი, გერა, ალტენბურგი, გოტა, ერფურტი და ვეიმარის მიდამოები. ყველგან **ატუსაღებენ კომუნისტებს, განსაკუთრებით პროლეტარულ რაზმების ხელმძღვანელებს.**

„ფასიზმის აღდგენა“.

ბერლინი. 8 ნოემბ. ტიურინგიის პრემიერი ფროლიხი ბერლინში მოლაპარაკებას აწარმოებს ებერტთან, შტრეზემანთან და ჰესლერთან. ფროლიხის სახელობაზე გაგზავნილ წერილში, ჰესლერი ატყობინებს, რომ **გესსეს აქვს მინდობილი ტიურინგიის დაცვა ფაშისტების ბანდებისაგან** წერილში ნათქვამია, რომ ჰესლერის განკარგულებაში მყოფი ძალები სრულიად **საკმარისია წესიერების აღსადგენად.**

შტრეზემანს არ უშინიათ.

ლონდონი. 9 ნოემბერი. მიუნხენიდან იუწყებიან, რომ მიუხედავათ შტრეზემანის მუქარისა, **ბავარიის ფაშისტურმა ორგანიზაციებმა გადასწყვიტეს ხვალ დაიწყონ გალაშქრება ბერლინის წინააღმდეგ.**

არეულობა სიმშილობის ნიადაგზე.

ბერლინი. 9 ნოემბერი. სასურსათო მდგომარეობა რურში დღითი დღე უარესდება. ამ სიმშილობის, უსურსათობის და სიძვირის ნიადაგზე გახშირდა არეულობა და გამოსვლები. ასეთი არეულობა მოხდა კრეფელდში, სადაც არეულობაში მონაწილეთა წინააღმდეგ პოლიციამ იარაღს მიმართა. **1 მოკლულ, ორმოცზე მეტი კაცი მძიმეთ დაჭრა.**

ფაშისტები აშკარად ალაპარაკდნენ

ბერლინი. 8 ნოემბერი. ნიურინბერგის ქუჩებში გამოკრულია ჰიტლერის მიმდევართა მიმართვა მცხოვრებლებისადმი, **რომელიც მოუწოდებს ებრაელების დარბევისაკენ.**

ბერლინზე გალაშქრების საფრთხე.

ბერლინი. 8 ნოემბერი. ტიურინგიაში რეიხსვერის შესვლის გამო, ბერლინზე ფაშისტების გალაშქრების საფრთხე, როგორც ჩანს, თავიდან არის აცილებული. ერხარდტის მუქარამ საბაბი მისცა გერმანიის მთავრობას ტიურინგიის წინააღმდეგ გასალაშქრებლათ. ტიურინგიის რეიხსვერის სარდალს გენერალ გუსსეს კავშირი აქვს არალეგალურ ფაშისტურ ორგანიზაციებთან და ჯერ კიდევ კიუსტრინის აჯანყებამდე მას მოლაპარაკება ჰქონდა ამ აჯანყების მეთაურ ბუხრუკერთან.

ბავარიის მაგალითის მიხედვით.

ბერლინი. 8 ოქტომბერი. მემარჯვენე პრესა ესალმება ტიურინგიის წინააღმდეგ გალაშქრებას. ტიურინგიის აგრარიების კავშირი მოითხოვს ფროლიხის მთავრობის გადადგომას და ტიურინგიაში წესრიგის აღდგენას, ბავარიის მაგალითის მიხედვით.

ბრძოლა პარტიებს შორის

ნადავლის „გაყოფა“

ბერლინი. 8 ნოემბ. მთავრობის კრიზისი გრძელდება. შტრეზემანს თათბირი ჰქონდა ნაციონალისტების ბელადთან გიდგთან. **სახალხო პარტიის ის ფრთა, რომელიც სტინესს უჭერს მხარს მოითხოვს ნაციონალისტების შეყვანას მთავრობაში. ხუთშაბათს სახალხო პარტიის საპარლამენტო ფრაქციამ დაადგინა მოითხოვოს მთავრობის შემადგენლობაში მონარქისტების შეყვანა** და თუ შტრეზემანი ამაზე არ დასთანხმდა,—შტრეზემანის შეცვლა ჰენცეთ,—რომელიც საიმპერიო კომისრად იყო დანიშნული საქსონიაში.

სახალხო პარტიის ბელადები გერდგი, ბოლცი და ცენტრის პარტიების მეთაური მარქსი მოლაპარაკებას აწარმოებენ სოციალ-დემოკრატების ადგილობრივ მთავრობებზე გავლენის მოსპობის შესახებ. თუ ეს მოხდა, **ამას მოჰყვება ებერტის, პრუსიის მთავრობის და იმ ადგილობრივი მთავრობების გადადგომას, რომლებშიაც სოციალ-დემოკრატები შედიან.** ნაციონალისტები მოითხოვენ აგრეთვე დემოკრატების განდევნას მთავრობიდან და საგარეო პოლიტიკის შეცვლას. **დემოკრატები წინააღმდეგი არიან ნაციონალისტების მთავრობაში შეყვანის.** ცენტრის პარტიაში სასტიკი ბრძოლა სწარმოებს მემარჯვენე და მემარცხენე ფრთას შორის, რომელსაც ვირტი ხელმძღვანელობს. **ვირტი მხარს უჭერს ზომიერ კონსტიტუციონურ პოლიტიკას,** მძიმე-მრეწველობის წარმომადგენლები (ტასსინი, გაგინი და კლემპერი) კი საჭიროთ თვლიან ნაციონალისტებთან თანამშრომლობას.

ნაციონალისტები პორტფელებს მოითხოვენ.

პარიზი. 9 ნოემბერი. გერმანიის ნაციონალისტები მოითხოვენ რამდენიმე ადგილს მთავრობაში, გაზ. „ცაიტ“-ის აზრით ნაციონალისტების შესვლა მთავრობაში ნიადაგს მოუმზადებს დირექტორიის შექმნას.

საფრანგეთს უშინია.

პარიზი. 9 ნოემბერი. გერმანიის შინაური მდგომარეობა ისეთია, რომ **შესაძლებელია სამხედრო დიქტატურის გამოცხადება,** რომელიც მიზნათ დაისახავს ვერსალის ხელშეკრულების გაუქმებას და აგრეთვე მზადებას სარევანშო ომისათვის. **ასეთი პერსპექტივა დიდ შიშს იწვევს საფრანგეთში.** საფრანგეთის მთავრობამ აცნობა შტრეზემანს, რომ თუმცა საფრანგეთს არ სურს ჩაერიოს გერმანიის საქმეებში, მაგრამ **სასურველად მიაჩნია დემოკრატიული წყობილების დაცვა.**

საქსონიის ლანდტაგში.

ბერლინი. 8 ნოემბერი. საქსონიის ლანდტაგის სხდომაზე პრემიერმა

პრესა

მემარცხენე სოც.-ფედერალისტების თვითლიკვიდაცია

ტფილისში შეკრებილია ამ ჟამად მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტების ყრილობა. ერთი უმთავრესი კითხვათაგანი—თუ არა უმთავრესი ამ პარტიისათვის,—რომელიც დასმული იყო ყრილობის დღის წესრიგში, შეეხებოდა მის დამოკიდებულებას ჩვენ პარტიასთან. ეს კითხვა ბუნებრივათ დადგა პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციების წინაშე და მოითხოვდა გადაწყვეტას.

რამდენადაც მემარცხენე სოც. ფედერ. პარტია მტკიცეთ დგას დღეს საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმაზე, რამდენათ ის იზიარებს პროგრამას და უმთავრეს ხაზებს კომპარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკისას, იმდენათ მისი სეპარატიული არსებობა უმიზნო ხდება.

ამ აზრით დავსვით ჩვენ კითხვა აგერ წინაზე მათთან კამათის დროს.

როგორც მოსალოდნელიც იყო ყრილობამ დაადგინა შესწყვიტოს პარტიის ორგანიზაციულათ სეპარატიული არსებობა.

გაზ. „ტრიბუნა“ ასე მოგვითხრობს ყრილობის გადაწყვეტილების შესახებ:

> „ყრილობამ თავისი სიტყვა სთქვა კომპარტიასთან ურთიერთობის შესახებაც. სრული შეგნებით რევოლიუციონური ფრონტის გამტკიცებისა, სრული პასუხისმგებლობით ქართველი ხალხის ინტერესების წინაშე, მან გარკვეულად, უყოყმანოდ განაცხადა, რომ საჭიროა დღეს კომუნისტურ პარტიასთან ორგანიზაციული გაერთიანება.
>
> მეტად მნიშვნელოვანი და საყურადღებოა ის გარემოება, რომ ეს დადგენილება არ შეეჯახებია არც ერთ საწინააღმდეგო ხმას, იგი იყო სული და გული მთელი ყრილობის, იგი გამოხატავდა ყველა ორგანიზაციების აზრსა და ფიქრს. ჩვენთვის ამას ჰქონდა დიდი პოლიტიკური და მორალური ღირებულება. არც ერთი პასუხისმგებელი ამხანაგი, არც ერთი წევრი მთავარი კომიტეტისა არ იზიარებდა იმ შეხედულებას, რომ ჩვეულებრივი ხმის უმრავლესობით გადაწყვეტილიყო პარტიის არსებობის საკითხი. ჩვენ გვსურდა აბსოლიუტური უმრავლესობის ნებისყოფას დავმორჩილებოდით, თუ გინდ პერსონალურად ჩვენთვის ამ უმრავლესობის დადგენილება არ ყოფილიყო სასურველი.
>
> ყრილობამ ნათლად დაგვანახა, რომ მთელი პარტია, პარტიის ყველა ორგანიზაცია, არა თუ თანახმაა კომუნისტურ პარტიასთან ორგანიზაციული გაერთიანების, არამედ იგი მოითხოვს ამ გაერთიანებას“.

ეს გადაწყვეტილება არავის გაუკვირდება, არ გაუკვირდება მათ, ვინც გაცნობილია სოც. ფედერალისტების შეფასებას ჩვენი პარტიის პროგრამისა და პრაქტიკისას, მთელი ჩვენი მოღვაწეობისას. და მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენ შორის წარსულში ყოფილა „შეტაკებები“, ამხანაგები მემარცხენე ფედერ. პარტიიდან უკანა რიგში აყენებენ „თავმოყვარეობის“ საკითხს და ამოდიან ხოლოთ რევოლიუციისა და ჩვენი ქვეყნის ინტერესებიდან.

> „ჩვენთვის პარტიული თავმოყვარეობის საკითხი არ სჭარბობს რევოლიუციონური საქმის ინტერესს და ხმამაღლა ვამბობთ—სოციალიზმი უნდა დამყარდეს ბოლშევიკური მარქსიზმის დროშით. რევოლიუციას წინ უნდა უძღოდეს მარქსისა და ლენინის სურათი. ამას აქვს დიდი პოლიტიკური აზრი და დიდი მორალური ღირებულება, აქეთკენ მოუწოდებთ ჩვენ რიგებსაც“. (ხაზი ჩვენია. მეპრ.).

ჩვენ მხურვალეთ მივესალმებით მემარცხენე სოც.-ფედ. პარტიის ყრილობის ასეთ გადაწყვეტილებას: რევოლიუციისა და ჩვენი ხალხის საქმე ამით მხოლოდ მოიგებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფელიშმა გამოაქვეყნა მთავრობის დეკლარაცია, რომელშიაც ხაზგასმით არის ნათქვამი, რომ მთავრობის უმთავრეს მიზანს შეადგენს კონსტიტუციის დაცვა. დეკლარაცია აღნიშნავს, რომ საიმპერიო მთავრობა უმართებულოთ გამოვიდა ცენტრის მთავრობის წინააღმდეგ. დეკლარაციაში ნათქვამია: „ახალი მთავრობის შედგენა წარმოადგენს სერიოზულ ცდას საქსონიაში პარლამენტარული გზით სამხედრო დიქტატურის გაუქმებისა და ნორმალური სამოქალაქო მმართველობის დამყარებისათვის". კომპარტიამ მოითხოვა უნდობლობის გამოცხადება მთავრობისათვის. სახალხო პარტიამ მოითხოვა ლანდტაგის გაშვება. მთავრობის დეკლარაციის გამო გამართულ კამათის დროს ნაციონალისტების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ თუ ნაციონალისტებს დასჭირდებათ არჩევანი ბავარიასა და შტრეზემანს შორის, ისინი ამჯობინებენ ბავარიას. საქსონიის ყოფილმა მინისტრმა კომუნისტმა ბეინხერმა ორი საათი ილაპარაკა სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ და კომფრაქციის სახელით განაცხადა, რომ კომუნისტები მხარს უჭერენ წინადადებას ლანდტაგის გაშვების შესახებ. წინადადება მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადების და ლანდტაგის გაშვების შესახებ განხილულ იქნება ლანდტაგის 8 ნოემბრის სხდომაზე.

შტრეზემანის „ზომები" ბავარიის წინააღმდეგ

„კანონიერი მთავრობა"

ბერლინი 9 ნოემბ. ცენტრალურმა მთავრობამ ბავარიის კანონიერ მთავრობის ჩამოგდების გამო, დაადგინა მოუხსნას ბავარიას ყოველგვარი კრედიტების გაცემა იქ კანონიერ მართვა-გამგეობის დამყარებამდე.

ბერლინი. 9 ნოემბ. ცენტრალურ მთავრობის თავმჯდომარემ დაავალა გენერალ სეკტას მთავარსარდლის მოვალეობათა ასრულება და მიანიჭა მას სრული უფლება მიიღოს ყოველგვარი ზომები გერმანიაში წესრიგის დასაცავად.

ცენტრალურ მთავრობის მოწოდება

ბერლინი. 9 ნოემბერი. გერმანიის ცენტრ. მთავრობამ გამოუშვა მოწოდება, რომელიც მიმართულია მიუნხენის მეამბოხეთა წინააღმდეგ. ცენტრალურ მთავრობას მოჰყავს ვრცელი ცნობები ბავარიის აჯანყების შესახებ და იუწყება კაპლინგის დაპატიმრების და ბანდების მიერ (გამოტოვებულია) ძალაუფლების ხელში ჩაგდების შესახებ ყველა ის, ვინც ხელს შეუწყობს ასეთ გამოსვლებს გამოცხადებული იქნება სახელმწიფოს მოღალატეთ.

მთავრობის „ზომები"

როგორ მოატყუეს სპეკულიანტებმა ძველი მთავრობა.

ბერლინი 8 ნოემბ. ჯერ კიდევ გერმანიის მთავრობის მიერ ოქროს სესხის 500 მილ. დოლარის საფასურის ბონების დაბეჭდვამდე სპეკულიანტებმა დაიკვეთეს ეს ბონები ბანკში და გადახდეს მათი სალირალი დღის კურსის მიხედვით. ბონების სტამბიდან გამოშვებამდე სპეკულიანტებმა მოახერხეს მათი საფასურის 10 ჯერ გადიდება. შემდეგ, მიიღეს რა ბონები, იმათ მიიღეს დიდი სარგებელი, ხოლო მთავრობამ კი დაჰკარგა ასეული მილიონი დოლარი.

ამგვარად მტკიცე ვალიუტის შემოღების პირველი ცდა უშედეგოთ დამთავრდა.

ოქროს სესხის კურსის დაწესების პროექტი.

ბერლინი. 7 ნოემბ. მთავრობას განზრახვა აქვს დააწესოს ოქროს სესხის კურსი ქაღალდის მარკებისათვის. ამ საკითხში მეტად განსხვავდება მრეწველების, მემამულეების და მსხვილ ბანკების შეხედულებები. ქაღალდის ფულების ყოველდღიური გამოშვება უდრის 1 კვადრილიონ მარკას.

დარბევის დასასრული.

ბერლინი. 7 ნოემბ. მომხდარ დარბევისა და ძარცვის გამო ბერლინში დაპატიმრებულია 530 კაცი, რომელთა შორის 100 ზე მეტი სასამართლოს გადაეცა. პოლიციის კომისარი ცდილობს გაამართლოს ბრალდება, რომ მან არ მიიღო საკმაოთ ენერგიული ზომები მიუხედავათ იმისა, რომ პოლიცია საკმარ წესზე იმყოფება. ახალი გამოსვლების თავიდან ასაცილებლათ პოლიციასთან დანიშნულია რეისხვერის რამოდენიმე ნაწილი.

ოთხშაბათს უმუშევართა დემონსტრაცია კიდევ გრძელდება. ზოგიერთი მაღაზიის პატრონნი ძარცვა-დარბევის აცილების მიზნით უფასოთ ურიგებდენ უმუშევრებს სურსათს.

დაპყრობილ ოლქებში

უმაღლესი წერტილი.

ბერლინი 7 ნოემბ. რურის ოლქის სახურსათო მდგომარეობა კატასტროფიულია. უმუშევრობა დღითი-დღე იზრდება. დათხოვნილია სამსახურიდან ყველა უცოლშვილო მოსამსახურეები და ქალთა პერსონალი. განზრახულია აგრეთვე ცოლშვილიან მოსამსახურეთა უმრავლესობის დათხოვნა. დანარჩენნი იმუშავებენ დღეში 4 საათს და მიიღებენ თავისი ჯამაგირის 40 პროცენტს. უმუშევრობის მიუხედავთ დორტმუნდში შემოღებულია 10 საათის სამუშაო დღე. პფალცის ოლქში პურის ფასებს ფრანკებით ანგარიშობენ, რადგან მარკის ანგარიშით თითო პური ტრილიონი მარკა ღირს.

გერმანიის ამბების გარშემო

გერმანიის პასუხი მოკავშირეების მოთხოვნილებაზე

ლონდონი. 9 ნოემ. მოკავშირეების მოთხოვნილებაზე გერმანიაში სამხედრო კონტროლის აღდგენის შესახებ, გერმანიის მთავრობამ უპასუხა, რომ ის ვერ მიიღებს თავისთავზე იმ ოფიცრების ხელუხლებლობის უზრუნველყოფას, რომელთაც მოკავშირეები სამხედრო კანტროლის განხორციელებას დაავალებენ.

„რეინის რესპუბლიკის" ახალი პროექტი.

რომი. 9 ნოემ. „კიოლნიშე ცაიტუნგ"-ში მოთავსებულია საფრანგეთის წარმომადგენლის ტირარის განცხადება იმის შესახებ, რომ საფრანგეთმა უარჰყო რეინის დამოუკიდებელი რესპუბლიკის შექმნის იდეა და კმაყოფილდება რეინის რესპუბლიკის შექმნით გერმანიის შემადგენლობაში. ამ რესპუბლიკას უნდა ჰქონდეს განსაზღვრული ტერიტორია, საკუთარი ვალიუტა, საკუთარი საემისიო ბანკი, რომლის კაპიტალის 55 პროც. იქნება გერმანიის, 30 პროცენტი—საფრანგეთ-ბელგიის და 15 პროცენტი—ინგლისის. ამას გარდა ამ რესპუბლიკის რკინიგზების მმართველობა იქნება ფრანგებისა და ბელგიელების ხელში.

პატიოსანი სოციალ დემოკრატები პარტიიდან გამოდიან.

ბერლინი. 8 ნოემბერი. სოციალ-დემოკრატმა ბორჰარტ-რაუმმა, ნოსკეს სამხედრო სამინისტროს ბეჭდვითი საქმის ყოფილმა გამგემ, განაცხადა, რომ ის გადის პარტიიდან და აღნიშნა, რომ პარტიის პოლიტიკა ეწინააღმდეგება სახელმწიფოს ინტერესებს. პრუსიის ლანდტაგის დეპუტატი, სოციალ-დემოკრატი რაბოლდი აგრეთვე გავიდა პარტიიდან, აღნიშნა რა, რომ იგი აღარ აწარმოებს პარტიასთან მუშათა პოლიტიკას.

ბარბიუსის სასამართლოში მიცემის წინააღმდეგ

პარიზი. 8 ნოემბერი. მუშებს შორის იზრდება აღშფოთება ბარბიუსის სასამართლოში მიცემის წინააღმდეგ. ამის გამო მრავალ მუშათა ორგანიზაციებმა მიმართეს მთავრობას პროტესტით.

ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის პოლონეთში

პოლონეთის სოციალისტური პარტიის ბელადების მოღალატეობის გამო ჩაიშალა საყოველთაო გაფიცვა.

კრაკოვის მუშებმა აჯანყება დაიწყეს ორშაბათს. ქალაქი მუშების ხელშია. მთავრობის ჯარმა უკან დაიხია.

მუშების მხარეზე დადგა ზემო სილეზიის პოლკი, რომელიც მთავრობის ერთგულ ჯარად ითვლებოდა.

ნაადრევი ზეიმი.

ვარშავა. 7 ნოემბერი. საყოველთაო გაფიცვა პოლონეთის სოციალისტური პარტიის ბელადების მოღალატეობის წყალობით ჩაიშალა. ბურჟუაზიული პრესა ზეიმობს გაფიცვის ჩაშლის და სოციალისტების კაპიტულიაციის გამო.

კრაკოვი მუშების ხელშია.

ვარშავა. 7 ნოემბერი. კრაკოვის მუშების შეიარაღებული აჯანყება დაიწყო ორშაბათს ქალაქი დღემდი მუშების მილიციის ხელშია, რომელსაც მეთაურობს დეპუტატი ბობროვსკი. მუშების შეტაკება ჯარებთან რამდენიმე საათს გაგრძელდა, რის შემდეგ ჯარები იძულებული გახდენ დაეხიათ.

კრაკოვის კომენდანტათ დანიშნული გენერალი ჟელიგოვსკი მოლაპარაკებას აწარმოებს მუშათა წარმომადგენლებთან ჟელიგოვსკი მოითხოვს მუშებისაგან იარაღების ჩაბარებას. მუშები კი რკინის გზების დემილიტარიზაციას და სამხედრო-საველე სასამართლოების გაუქმებას. გაფიცვა კრაკოვში გრძელდება.

„გაზეტა ვარშავსკა" უკანასკნელი ამბების გამო მოითხოვს „ჯარში ჯანსაღი სულის შეტანას". სამხედრო ნაწილების მიერ მუშებისათვის იარაღის დათმობა და ჯარების დაძმობილება მუშებთან გაზეთის სიტყვით „დიდ შთაბეჭდილებას მოახდენს პოლონეთის პროლეტარიატზე".

როგორ დაიწყო მოძრაობა.

მოსკოვი. 9 ნოემ. როსტას თანამშრომელთან საუბრის დროს მარლევსკიმ განაცხადა:

„მუშათა მოძრაობა პოლონეთში საგრძნობათ გაძლიერდა მიმდინარე წლის ზაფხულში, როცა მთელ სახელმწიფოს მოედვა გაფიცვების ტალღა, უმთავრესად ეკონომიური ხასიათის. გაფიცვების დროს მუშები დარწმუნდენ, რომ მათი ყველაზე უკეთესი მეგობრები კომუნისტები არიან. პარტიის გავლენა მუშათა მასებზე გამაგრდა. ამავე დროს გაიხრწნა და იშლებოდა პოლონეთის სოციალისტური პარტია. სექტემბრის დამლევს დაიწყო ეკონომიური ხასიათის საყოველთაო გაფიცვა (ზემო სილეზიაში), რომელიც მუშების სრული გამარჯვებით დამთავრდა. ოქტომბრის დამლევს რკინისგზელებმა წარმოადგინეს ახალი ეკონომიური მოთხოვნილებები. მთავრობამ უარი სთქვა მათ დაკმაყოფილებაზე. რკინისგზელებმა გამოაცხადეს. მთავრობამ რკინისგზებზე სამხედრო წესები გამოაცხადა, მაგრამ სავსებით ვერა. მაშინ მუშათა კავშირებმა საყოველთაო გაფიცვა გამოაცხადეს.

პოლონეთის სოციალისტურმა პარტიამ ჯერ წინააღმდეგობა გაუწია ამ განზრახვას, მაგრამ მასების ზეგავლენით იძულებული გახდა მხარი დაეჭირა კომუნისტების ლოზუნგებისათვის. კრაკოვის ამბების შემდეგ შემთანხმებლები შეშინდენ და გაფიცვა ჩაშალეს.

კრაკოვის ამბები მოწმობენ, რომ მთავრობა ვერ იქონიებს ჯარის იმედს მუშებთან ბრძოლის დროს. განსაკუთრებით დამახასიათებელია მუშების მხარეზე ზემო-სილეზიის პოლკის გადასვლა, რომელიც ჯარის ყველაზე საიმედო ნაწილათ ითვლებოდა.

დასასრულ მარლევსკიმ იმედი გამოსთქვა, რომ რევოლიუციონური მოძრაობა სძლევს ბურჟუაზიული მთავრობის წინააღმდეგობას და პოლონეთში ახლო ხანში მუშურ-გლეხური ხელისუფლება დამყარდება.

მდგომარეობა ვარშავაში.

ვარშავა. 7 ნოემბერი. დღეს ვარშავაში, ქარხნების გარდა, გაფიცული იყო ტრამვაი და ელექტრონის სადგური გაზის ქარხნებში და კომუნალურ ფურნეებში გაფიცულ მუშათა ნაცვლათ ჩაყენებული იყო მესანგრე ჯარისკაცები. ნორმალურ მუშაობის უზრუნველსაყოფათ, წყალსადენს შემორტყმული ჰქონდა ჯარისკაცთა ალყა და მუშებს 2 დღე და ღამის განმავლობაში არ უშვებდენ შინ. გაფიცვის გამო ქალაქი უპუროთ დარჩა.

დომბროვის, ლოძის და ზემო სილეზიის მუშებმა განაცხადეს, რომ ოთხშაბათს ისინიც შეუერთდებიან გაფიცვას.

ამხ. ვოროვსკის მკვლელის გასამართლება

სასამართლო მიდგომილია

ლოზანა. 7 ნოემბ. ორშაბათს სასამართლოში წაკითხულ იქნა საბრალმდებლო ოქმი, რომელიც გაჟღენთილი იყო საბჭოთა მთავრობის მიმართ მტრული განწყობილებით. დაკითხვის დროს, კონრადმა განაცხადა, რომ ის მზად არის დახოცოს რუსეთის და უცხოეთის ინტერნაციონალისტები. ბერლინში განზრახულ მკვლელობის მოსაწყობად სახსარი და საშუალებანი მან მიიღო შვეიცარიაში არსებულ „რუს ემიგრანტთა საზოგადოებისაგან", ვითომც სამშობლოში სამოგზაუროდ. ვოროვსკის მკვლელობის მოსაწყობად კონრადის ფული მიუღია პოლუდინისაგან. კონრადი ამტკიცებს, რომ მას ამ საქმეში თანაზიარი არავინა ჰყოლია და პოლუდინისათვის მის მიერ მიცემული ფულის მიღების ბარათი უბრალო ფორმალობა არისო. მკვლელობის დღეს კონრადი სრულებით დამშვიდებული იყო, თუმცა რამდენიმე ბოთლი ღვინო ჰქონდა დალეული. არენსისა და დივილკოვსკის მოკვლის განზრახვა არა ჰქონია.

კონრადიმ განაცხადა, რომ ვოროვსკის ესროლა გამსკდომი ტყვიები იმ მოსაზრებით, რომ ჭრილობა სასიკვდილო ყოფილიყო.

პოლუდინი დაკითხვის დროს არეულ ჩვენებას იძლეოდა და წარმოსთქვა ემიგრანტებისათვის ჩვეულებრივი დიდი სიტყვა.

მოწმე გენერალმა დოსტანოვმა განაცხადა, რომ საბჭოთა ხელისუფლების სამსახურში გადავიდა პატრიოტიზმის გულისათვის და ხაზგასმით აღნიშნა, რომ თეთრი ტერორი ბევრად სჭარბობდა წითელ ტერორს და ემიგრანტებს რომ ხელთ ეგდოთ ხელისუფლება, მაშინ რუსეთში გამეფდებოდა საშინელი და უმაგალითო ტერორი და რბევა აწიოკება გლეხებისა. დოსტანოვი არღვევს თეთრგვარდიელ გენერალ ივანოვსკის განცხადებას, რომლითაც იგი სცდილობდა ხელი შეეშალა დოსტანოვისათვის კონრადის წინააღმდეგ გამოსვლაში ზანტაჟის სახით და აცხადებს, რომ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებას შეუძლიან რუსეთში წესიერების დამყარება.

განხეთქილება ნორვეგიის კომპარტიაში

ორი ფრთა.

ქრისტიანია. 5 ნოემბ. ნორვეგიის კომპარტიის ყრილობაზე მომხდარი განხეთქილების გამო ჩამოშორებულმა ნაწილმა ტრამელის მეთაურობით ცალკე ყრილობაზე კომინტერნის პოლიტიკის განხილვის შემდეგ განაცხადა, რომ სავსებით ეთანხმება კომუნისტურ პრინციპებს და იმოქმედებს მსოფლიო მუშათა კლასთან ერთად. ყრილობამ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია ტრამელის მოხსენების გამო და დაადგინა მოითხოვოს საბჭოთა კავშირის ცნობა დე იურეთ.

მეორე ჯგუფის ყრილობამ შეფლის მეთაურობით ერთხმად მიიღო კომინტერნის აღმასკომის წინადადება ნორვეგიის კომპარტიის კომინტერნის სექციად ჩათვლის შესახებ. ყრილობა ხაზს უსვამს, რომ პასუხისმგებლობა განხეთქილებისათვის აწევა ტრამელის ჯგუფის ხელმძღვანელებს. კომინტერნის ნორვეგიის სექციის ორგანოთ „არბაიტერ ბლადეტ".

მდგომარეობა ახლო აღმოსავლეთში

ოსმალეთი

საპასუხო რეპრესიები

ანგორა. 8 ნოემბ. ოსმალეთის მთავრობა ოფიციალურათ აცხადებს, რომ თუ საბერძნეთი დაუყოვნებლივ არ შესწყვეტს რეპრესიებს საბერძნეთში მცხოვრებ მუსლიმანების წინააღმდეგ, მაშინ ოსმალეთი ასეთივე რეპრესიებს მიმართავს იმ ბერძნების მიმართ, რომელნიც ოსმალეთში სცხოვრობენ.

მილოცვა რესპუბლიკის დაარსების გამო.

ანგორა. 8 ნოემბ. 7 ნოემბერს შესდგა მილოცვების მიღება რესპუბლიკის დაარსების გამო.

ს. ს. რ. კ. ესალმება ოსმალეთის რესპუბლიკის დაარსებას.

ანგორა. 8 ნოემბ. ს. ს. რ. კ. სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა პრესის თანამშრომლებთან საუბრის დროს განაცხადა, რომ ს. ს. რ. კ. ესალმება ოსმალეთის რესპუბლიკის დაარსებას და უსურვებს მას შემდეგ პროგრესს.

მოლაპარაკება მოსულის საკითხის შესახებ.

ბერლინი. 9 ნოემბერი. რეიტერის სააგენტოს ცნობებით, ოსმალეთის მთავრობამ აცნობა ინგლისის მთავრობას თავის თანხმობის შესახებ გაგზავნოს თავის წარმომადგენლები კონფერენციაზე, რომელიც მოწვეულია მოსულის საკითხის განსახილველათ; ოსმალეთის მთავრობა აცხადებს, რომ მას კონფერენციისათვის უფრო მოხერხებულ პუნქტათ მიაჩნია სტამბოლი.

სხვადასხვა

საფრანგეთი.

ხმის უმეტესობა კომუნისტს ერგო.

პარიზი 7 ოქტომ. სანტეს ქალაქის გამგეობის არჩევნებში დიდი ხმის უმეტესობით გავიდა კომუნისტების კანდიდატი მიდოლი.

დანია

სააქციონერო საზოგადოება საკავშირო რესპუბლიკის ექსპორტ-იმპორტისათვის ხელის შესაწყობათ.

კოპენჰაგენი. 7 ნოემბერი. დაარსდა სააქციონერო საზოგადოება, რომელსაც 5 მილიონი კრონა აქვს ძირითად თანხად. საზოგადოება მიზნად ისახავს ფინანსიური დახმარება გაუწიოს საკავშირო რესპუბლიკის შეზიდვა გაზიდვის საქმეს. გამგეობის შემადგენლობაში არიან: რუსეთის საკომერციო ბანკის წარმომადგენელი აშბერგი, სახელმწიფო ბანკის რწმუნებული ლევინი და ვ. დახაილი. საზოგადოება დეკემბერში დაიწყებს მოქმედებას.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

ნავთის ამოღების წლიური ჯამი.

მოსკოვი. 8 ნოემბერი. ნავთის წარმოებამ გროზნის რაიონში მიმდინარე წლის მშვიდობიანობის დროის ნორმას გადააჭარბა. ბაქოს რაიონის ამოღებაც უახლოვდება ამ ნორმას. „ემბონავთმა" შეასრულა დასახულ პროგრამის 94 პროც., აზნავთმა—8 პროც. ვოლგით გაგზავნილია 160 მილიონი ფუთი, ასტრახანში გატანილია 162 ფუთი; შემოტანის პროგრამა შესრულებულია სავსებით. რკინის გზებზე მიმდინარე წელს გადაზიდულია სულ 21,000 ცისტერნა ნავთი. დამდეგი წლის პროგრამაში ბურღვის სამუშაო გადიდებულია აზნავთისათვის 41.000 ხვრელამდე და გროზნისათვის—18.000-მდე. ნავთის და მაზუთის წარმოებამ საგრძნობლათ გადააჭარბა მოთხოვნილების რაოდენობას. ვოლგაზე დაგროვებულია ზეთის მარაგი, რომელიც დააკმაყოფილებს მოთხოვნილებას 3 წლის განმავლობაში. ზეთის მარაგი—7 მილიარდ ფუთს უდრის. მარტო ნოვოროსიისკში დაგროვებულია 1 ნახ. მილიონი ფუთი ბენზინი. ნავთის სინდიკატმა წელს გაიტანა საგარეო ბაზარზე 18 მილიონი ფუთი ნავთი. გამოცოცხლდა სავაჭრო ურთიერთობა საფრანგეთთან. დასახულია ხელშეკრულებები გერმანიასთან, რომელთანაც წარმოებს მოლაპარაკება 100 ათასი ტონა კეროსინის გატანისათვის. ჩვენი ნავთი ვრცელდება ხმელთა შუა ზღვაზე და აგრეთვე, იტალიაში.

ოქტომბრის რევოლიუციის დღესასწაული

ამიერ-კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის საზეიმო გახსნა

7 ნოემბერს, ოქტომბრის რევოლიუციის ზეიმის დღეს, ტფილისში მოხდა ამიერ-კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის საზეიმო გახსნა.

უნივერსიტეტის რექტორის მოხსენება.

უნივერსიტეტის დღევანდელ მდგომარეობაზე დამსწრე საზოგადოებისათვის მოხსენებას აკეთებს უნივერსიტეტის რექტორი ამხ ტაკოევი.

ამჟამად უნივერსიტეტს ჰქონია მხოლოდ ორი ფაკულტეტი—საზოგადოებრივ-პედაგოგიური და საბჭოთა—პარტიული; ამავე დროს უნივერსიტეტთან არსებობს მოსამზადებელი განყოფილებაც.

ჯერ-ჯერობით უნივერსიტეტში ირიცხება 243 ვაჟი და 43 ქალი სულ—286.

ამ რიცხვიდან საზოგადოებრივ-პედაგოგიურ ფაკულტეტზე—89 კაცი ითვლება, პარტიულ საბჭოთა ფაკულტეტზე—128, ხოლო მოსამზადებელ განყოფილებაში—69, აქედან ქართულ ჯგუფში—20 კაცი, თურქულში—28, ხოლო რუსულში—21.

ცალკე რესპუბლიკების მიხედვით სტუდენტთა რაოდენობა შემდეგნაირად ნაწილდება: აზერბეიჯანს ჰყავს გამოგზავნილი 86 კაცი, სომხეთს—43, საქართველოს—128, ა. | კ. საოლქო კომიტეტს—9, კავ. წითელ-არმიას პოლიტ. სამართველოს—18, ს. რ. პ. კ ს. ა. | კ. ბიუროს—2.

ეროვნების მიხედვით: ქართველი—56, სომეხი—89, თათარი—47, რუსი—52—სხვა მცირე ერთა წარმომადგენელნი—35.

ენის ცოდნის მიხედვით: ქართული ენის მცოდნე—67, სომხური ენის მცოდნე—83, თათრული ენის მცოდნე—88 კაცი.

პარტიულობის მიხედვით: რ. კ. პ. წევრები და კანდიდატები 201, ახ. კ. კავ.—141. 2 | 3 პარტსტაჟი უდრის 3 წ. (1921 წლიდან). ახ. კომ. კავ. წევრთა უმრავლესობის სტაჟი ორ წელზე მეტია. ჰასაკის მიხედვით სტუდენტობის ორ მესამედზე მეტი 18—25 წლიანი არიან. არიან სტუდენტები თვრამეტწლიანზე უმცროსნი; და 30 წელზე უფროსნიც, მაგრამ ასეთნი ცოტა არიან.

უნივერსიტეტის მუშაობა.

მუშაობის მხრივ, უნივერსიტეტს უხდებოდა ერთ და იმავე დროს მოწყობა-გაწესრიგება და მიმდინარე მუშაობის წარმოებაც.

დიდი ხანი არ არის, რაც დამთავრდა აუდიტორიების, ბიბლიოთეკების, სამკითხველოების, ლაბორატორიების და კაბინეტების ხელსაწყოებით და საჭირო მასალით შევსება. ფიზიკურ, ქიმიურ, გეოლოგიურ და გეოგრაფიულ ლაბორატორიებისათვის ხელსაწყოები და მასალები შეკვეთილი იყო გერმანიაში, საიდანაც შეკვეთილი საგნები ჯერ მიუღებელია. ამ გარემოებამ დააბრკოლა უნივერსიტეტის მუშაობა.

ამხ. ტაკოევი დიდის სიამოვნებით აღნიშნავს იმ იშვიათს ყურადღებას, რომელიც წილად ხვდა ა. | კ. კომ. უნივერსიტეტს როგორც ა. | კ ყველა უმაღლეს ორგანოების მხრივ, ისე ცალკე რესპუბლიკებისაგანაც.

ამხ. ტაკოევი გამოსთქვამს სრულ იმედს, რომ ასეთი გაერთიანებული მუშაობით და შეთანხმებული მოქმედებით შესაძლებელი გახდება იმ მოლოდინის გამართლება, რომელსაც უნივერსიტეტზე ამყარებს პარტია და საბჭოთა ხელისუფლება.

დასასრულ ამხ. ტაკოევმა წაიკითხა აზ. ცაკის თავმჯდომარის ამხ. აგამალი ოღლის დეპეშა, სადაც იგი უსურვებს წინსვლას ა. | კ. კომუნივერსიტეტს.

ამხ. ტაკოევი წინადადებას იძლევა მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნონ რ. კ. პ. ცკას, ამხ. ამხ. ლენინს, სტალინს, აგამალი ოღლის და საკავშირო ცაკის სესიას. წინადადება მიღებულ იქნა.

მისალმებანი.

პირველ მისასალმებელ სიტყვას ამბობს ამხ. მიასნიკოვი, რომელიც ხაზს უსვამს ა. | კ. კომუნივერსიტეტის მნიშვნელობას ადგილობრივი ერებისათვის.

ამხ. ორჯონიკიძე სთვლის ა. | კ. კომ. უნივერსიტეტს პროლეტარულ ინტელიგენციის მომამზადებელ დაწესებულებათ, რომელიც ხელს შეუწყობს კლასიურ პროლეტარულ იდეოლოგიის ჩამოყალიბებას ფართე მასებში.

ა. | კ. კომ. უნ-ის სახელით სიტყვას ამბობს ამხ. ეგიაზაროვი, რომელიც გამოსთქვამს რწმენას, რომ მომავალ წლისათვის სტუდენტთა რიცხვი უნ—მში გაორკეცდება და მოგვცემს მრავალ მომზადებულ მებრძოლს.

შემდეგ მისასალმებელ სიტყვებს ამბობენ ცალკე ეროვნებათა სტუდენტები, რომელნიც აღთქმას იძლევიან, რომ გაამართლებენ მათზე პარტიის მიერ დამყარებულ იმედებს.

სალამო—მეჯლისი.

საღამოს მე 2 ნაწილი შეიცავდა ოქტომბრის ექვსი წლის თავის დღესასწაულს.

უნივ საკუთარი ძალებით წარმოდგენილ იქნა სასცენოდ გადაკეთებულ სოსნოვსკის ფელეტონი „კონიოკ—გორბუნოკი" რომელიც ოქტომბრის რევოლიუციისადმი არის მიძღვნილი.

წარმოდგენა დიდი ხალისით ჩატარდა.

დასასრულ სტუდენტებისა და სტუმრებისათვის გაიმართა ამხანაგური ვახშამი.

ოქტომბრის ზეიმობა რუსეთში

სტეფანე ხალტურინის ძეგლი

ვიატკა. 9 ნოემბ. ოქტომბრის რევოლიუციის წლის თავზე დიდი ზეიმით გაიხსნა სტეფანე ხალტურინის ძეგლი 15 000 კაცის თანადასწრებით. სტეფანეს ძმამ პავლე ხალტურინმა წარმოსთქვა სიტყვა. გახსნილ იქნა გლეხთა საგუბერნიო სახლი, ოქტომბრის წიგნის გამოფენა სტეფანე ხალტურინის განყოფილებით, ოქტომბრის რევოლიუციის სახელობის საბავშვო ბაღი და მთელი რიგი კლუბებისა.

ნიშნად გერმანიის პროლეტარიატის სოლიდარობისა

მოსკოვი. 9 ნოემბ. ადგილებიდან მიღებულ ცნობების თანახმად ოქტომბრის რევოლიუციის 6 წლის თავის დღესასწაული ჩატარდა გერმანიის პროლეტარიატის სოლიდარობის და მუშების და გლეხების მჭიდრო კავშირის ლოზუნგის ქვეშ. ბევრ ქალაქებში გაიხსნა კულტურულ-განმანათლებელი დაწესებულებანი.

პერმში გაიხსნა გლეხის სახლი.

გროზნოში—შინაგან საქმეთა სახ. კომისარის ბელობოროდოვის თანადასწრებით, გაიხსნა საჩეჩნეთის რევოლიუციონერის ასლანბეკ შერიპოვის ძეგლი.

ელცის მბეჭდავთა კავშირმა მოაწყო კვირაობა გერმანიის გაფიცულ მბეჭდავთა სასარგებლოთ.

ასტრახანში მბეჭდავებმა შექმნეს 25 ოქტომბრის სახელობის ფონდი გერმანიის მუშების დასახმარებლად.

ასტრახანის მეზღვაურებმა შეაკეთეს გემი, ტრამვაის მუშებმა მოტორიანი ვაგონი, ცეცხლის მქრობელებმა—2 ცეცხლის მქრობელი ავტომობილი.

ვორონეჟის რკინისგზელებმა გამოუშვეს ამხ. ლენინის სახ. ორთქლმავალი.

ამხ. ლენინს მისდის აუარებელი მისასალმებელი დეპეშები

მოსკოვი. 9 ნოემბერი. ოქტომბრის რევოლიუციის ექვსი წლის თავზე ამხანაგ ლენინის სახელზე მიღებულია აურებელი მისასალმებელი დეპეშები ს. ს. რ. კავშირის სხვა და სხვა [illegible] დეპეშებში მსოფლიო პროლეტარიატის წინამძღოლს უსურვებენ ჩქარ გამომრთელებას.

დღესასწაული ხარკოვში

ხარკოვი. 9 ნოემბერი. ოქტომბრის რევოლიუციის 6 წლის თავი ხარკოვში აღნიშნულ იქნა მრავალრიცხოვანი დემონსტრაციებით და წითელ არმიის აღლუმით. სრულიად უკრაინის ცაკის წინ გახსნეს ამხ. არტემის ძეგლი.

ქალაქის საბჭოს საზეიმო სხდომაზე სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ფრუნზემ, რომელმაც აღნიშნა დიდი აღორძინება უკრაინის მეურნეობის ყველა დარგებში. სასოფლო-მეურნეობის საერთო პროდუქცია უდრის ომამდე არსებულ პროდუქციის 70 პროცენტს. სახელმწიფო მრეწველობის—40 პროცენტს, მუშათა ხელფასი საშუალოთ შეადგენს ომამდე არსებულ ხელფასის 65 პროცენტს. ეროვნული საკითხის სასურველად გადაჭრამ გამოიწვია საზღვარგარეთ „პეტლიუროვშჩინის" კრახი. ტიუტიუნიკი ხელში ჩაუვარდა საბჭოთა ხელისუფლებას. უკრაინის მეორე გამოჩენილმა კონტრ რევოლიუციონერმა, პროფესორმა გრუშევსკიმ აღძრა შუამდგომლობა უკრაინაში დაბრუნების ნებადართვის შესახებ.

მუშათა დემონსტრაციები პეტროგრადში

პეტროგრადი. 9 ნოემბერი 7 ნოემბერს პეტროგრადში გაიმართა მუშათა დიდი დემონსტრაცია; 8 ნოემბერს ურიცკის მოედანზე—პეტროგრადის გარნიზონის აღლუმი.

ნიჟნი-ნოვგოროდის საჩუქარი ოქტომბრისათვის

ნიჟნი ნოვგოროდი. 9 ნოემ. ნიჟნი-ნოვგოროდის, კანავინისა და სორმოვის მუშებმა საზეიმო კრებებით აღნიშნეს ოქტომბრის რევოლიუციის 6 წლის თავი. ოქტომბრის დღესასწაულისთვის ნიჟნი-ნოვგოროდის კომუნალურ მეურნეობის განყოფილებამ დაამთავრა ქალაქის ზემო ნაწილში ტრამვაის გაყვანის მუშაობა.

რადიო-კონცერტი ოქტომბრის დღესასწაულზე

მოსკოვი. 9 ნოემ. ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარმა სხვა და სხვა პროვინციალურ ქალაქებიდან მიიღო 60-მდე დეპეშა, რომლებშიაც მას აუწყებენ, რომ 7 ნოემბერს, რადიო-ტელეფონის სადგურზე კომინტერნის სახელით გამართული კონცერტი კარგად მოისმოდა.

გერმანიის სექციის მდგომარეობა

მოსკოვი. 9 ნოემ. რევოლიუციონერთა დამხმარე საერთაშორისო ორგანიზაციის ცენტრ. კომიტეტის 6 ნოემბრის სხდომაზე გამოირკვა, რომ გერმანიის სექციის მდგომარეობა, გერმანიის ამბების გამო, გართულდა, დაპატიმრებულთა რიცხვი იზრდება. გერმანიის სექციამ დააწესა ყველა პროვინციაში რწმუნებულთა ინსტიტუტი, მაგრამ მასების ცუდი ეკონომიური მდგომარეობა და აგრეთვე კომუნისტურ გაზეთების არალეგალურ მდგომარეობაში ჩაყენება აფერხებს საქველმოქმედო აკრეფას. სექცია დახმარების გაძლიერებას მოითხოვს. რევოლიუციონერთა დამხმარე საერთაშორისო ორგანიზაციის ცენტრ. კომიტეტმა მისცა სექციას ერთდროულ დახმარების სახით 5000 დოლარი.

გერმანიის მუშები მოიპოვებენ თავის ოქტომბერს

ბერლინი. 7 ნოემბერი. არალეგალური კომუნისტური გაზეთი „არბეიტერრუფი", მიესალმება რა რუსეთის მუშებს ოქტომბრის დღესასწაულის გამო, სწერს: „გერმანიის რესპუბლიკა უკვე არ არსებობს. იგი სტინესის და ფაშისტების რესპუბლიკათ გადაიქცა. მუშები არ დაიცავენ მას. გერმანიის, მუშები იბრძოლებენ საბჭოთა გერმანიისათვის და მათ ამაში დახმარებას აღმოუჩენენ უმიწაწყლო გლეხები წვრილი მოხელეები და ინტელიგენცია. ბრძოლა უნდა გაიმართოს როგორც მემარჯვენე, ისე მემარცხენე სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ. ფაშიზმს—პროლეტარული დიქტატურა მოჰყვება, ფაშისტური მონარქია საბჭოთა რესპუბლიკას მოამზადებს. პროლეტარულ დიქტატურისათვის ბრძოლაში გერმანიის მუშათა კლასი თავის ოქტომბერს მოიპოვებს.

ოქტომბრის დღესასწ. გამოძახილი

ფაშისტური დროშები—ოქტომბრის საჩუქარი.

მოსკოვი. 9 ნოემბერი. რუსეთის ახალგაზრდათა კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა ბრაუნშვეიგის (ბერლინი) ახალგაზრდათა კომკავშირისაგან მოლოცვასთან ერთად მიიღო ორი ფაშისტური დროშა, რომელიც წამოღებული იყო ფაშისტებთან შეტაკების დროს.

ზეიმობა ბერლინში.

ბერლინი. 9 ნოემბერი. 7 ნოემბერს ბერლინის ყველაზე უფრო დიდ დარბაზში შესდგა ზეიმი ოქტომბრის რევოლიუციის ექვსი წლის თავის გამო. ზეიმს დაესწრენ ს. ს. რ. კ. დაწესებულებების თანამშრომლები და ოქტომბრის რევოლიუციის თანამგრძნობნი. საღამოს ს. ს. რ. კ. სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა კრესტინსკიმ მიიღო დიპლომატიური კორპუსი და მეცნიერებისა და საზოგადოების წარმომადგენელნი.

ჩეხო-სლოვაკიის პრესა საბჭოთა მთავრობის შესახებ.

პრაგა. 7 ნოემბერი. ოქტომბრის რევოლიუციის ექვსი წლის თავის გამო გაზეთი „ტრიბუნა" სწერს: „წინა წარმეტყველების წინააღმდეგ, საბჭოთა მთავრობა აღმოჩნდა ისეთივე მტკიცე, როგორც ჩეხო-სლოვაკიის მთავრობა. საჭიროა ანგარიში გაეწიოს საბჭოთა წესწყობილების ხანგრძლივ არსებობას და უკუგდებულ იქნეს მალულობიას თამაში საბჭოთა რუსეთის მიმართ; აუცილებელია საბჭოთა მთავრობის ცნობა. უაზრობაა ს. ს. რ. კ. დამოკიდებულებაზე უარის თქმა იმის გამო, რომ რუსეთს არ გადაუხდია ვალები საფრანგეთისათვის".

დღესასწაული სომხეთში

ერევანი. 8 ნოემბერი. 5-სა და 6 ნოემბერს პასუხისმგებელმა მუშაკებმა ლექციები წაიკითხეს პროფკავშირების წევრთა და წითელარმიელთათვის, ოქტომბრის რევოლიუციის მნიშვნელობის შესახებ.

7-მა ნოემბერმა დიდის ზეიმით ჩაიარა. დღესასწაულს დიდათ შეუწყო ხელი ჩინებულმა ამინდმა. ქალაქი მორთულ-მოკაზმული იყო. დილით, პროფკავშირთა საბჭოს შენობის წინ გრანდიოზული მიტინგი გაიმართა. შუადღისას მოეწყო დიდი პარადი, რომელიც მიიღო ამხ. ლუკაშინმა და ამბარცუმიანმა.

„საკავშირო ცაკის მესამე სესია

ამხ. ბოგდანოვის მოხსენება

დაუზოგავი ბრძოლა ზედმეტ ხარჯების წინააღმდეგ.

მოსკოვი 9 ნოემ., ამ უკანასკნელ ნახევარი წლის განმავლობაში სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ გადაათვალიერა 150 ტრესტი. დათვალიერების შედეგები მნიშვნელოვანია. მაგალითად, ორეხოვო ზუევის ტრესტმა კონცენტრაციის შემდეგ გადიდა დატვირთვა სართავი მანქანების 57 პროც.-დან 74 პრო.-დე, საქსოვი მანქანების 42 პროც.-დან—62 პროც.-დე და შეამცირა პროდუქციის თვითღირებულება 15 პროც.-ით. სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ დააბანდა მრეწველობაში დიდი ფინანსიური საშუალებანი, რამდენიმე ასეული მილიონი ოქროს მანეთი. ეს საშუალებანი ხმარდება ფაბრიკების, ქარხნების გაუმჯობესებას, კაპიტალურ რემონტს და საზღვარგარეთიდან ახალ დაზგების გამოწერას. ფაბრიკები და ქარხნები მნიშვნელოვნად გაუმჯობესდენ შარშანდელ წელთან შედარებით, ამას შედეგად მოჰყვა ის, რომ ნედლი მასალის ხარჯვა ნორმამდე დავიდა და დაუახლოვდა ომამდე არსებულ ნორმას. შრომის ნაყოფიერება უდრის ომის წინა დროის 60 პროც. შემდეგი მუშაობა ამ დარგში გამოიხატება თვით წარმოების სწორ ორგანიზაციაში და დამხმარე მუშების რიცხვის შემცირებაში. სამრეწველო ნაწარმოებთა მაღალი თვითღირებულება აიხსნება ნედლი მასალის ფასების ზრდით. ტყავეულობის და სხვა წარმოებებში ნედლი მასალის და სათბობი მასალის ფასები გაიზარდა 1 ნახ.—2 ნახ.—ჯერ. სამრეწველო ნაწარმოების წვრილმან საგანთა დიდი ფასები გამოწვეულია სავაჭრო აპარატის ზედმეტ ხარჯებით.

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს წინაშე დასმულია ამოცანა დაუზოგავი ბრძოლა იქნას წარმოებული ზედმეტ ხარჯების წინააღმდეგ. გარდა სახელმწიფოებრივ მომხმარებელთა, სამხედრო, ფლოტის, ტრანსპორტის და სხვათა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისა, სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მთავარ ამოცანას შეადგენს მრეწველობაში დაბანდებულ თანხების სისწორით გამოყენება, მათი თანასწორ ზომიერი და მიზანშეწონილი განაწილება და მიღწევა იმისა, რათა ჩვენი მრეწველობა იქნას მომგებიანი და ხელი შეუწყოს სახელმწიფოებრივ თანხების დაგროვებას".

ამხ ბოგდანოვი აშუქებს დებულებას საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს შესახებ, რომელიც განსაზღვრავს უკანასკნელის უფლება-მოვალეობებს. და აძლევს საერთო სახელმწიფოებრივ მნიშვნელობის ტრესტების და წარმოებათა სიას, რომელშიც შედიან მთელი სამხედრო მრეწველობა, მეტალურგიული წარმოებანი, „იუგოსტალი", „გომზა", არალის ტრესტები, ელექტრო-ტექნიკური მრეწველობის 4 ტრესტი, ოქროს და პლატინის ტრესტები, დონის, „კუზნეცკი" „პოდმოსკოვნი" პოზლოვსკი" ბაზი, ბაქოს და ემბენის ნავთის სამრეწველოები, რეინის ყველა წარმოებები, ჩაის ტრესტი, შაქრის ტრესტი, საფეიქრო მრეწველობის დიდი ტრესტები. სესია ადგენს კამათი ამხ. ბოგდანოვის მოხსენების გამო გაიხსნას ამხ. კრიჟანოვსკის თანამოხსენების შემდეგ.

ამხ. კრილენკოს მოხსენება უზენაეს სასამართლოს შესახებ

მოისმინა რა ამხ. კრილენკოს მოხსენება უზენაეს სასამართლოს შესახებ, სესიამ გადასცა დებულების პროექტი განსაკუთრებულ კომისიას.

ამხ. ჩიჩერინის მოხსენება ფინლიანდიასთან შეთანხმების შესახებ

ამხ. ჩიჩერინი მოხსენებას აკეთებს ფინეთის გემთა მდინარე ნევაზე მიმოსვლის საკითხში ფინეთთან შეთანხმების შესახებ. ეს შეთანხმება დამტკიცებული უნდა იქნეს სრულიად კავშირის ცაკ-ის მიერ. შეთანხმება აწესრიგებს ფინეთის გემთა მიმოსვლას მდინარე ნევაზე და უზრუნველყოფს ს. ს. რ. კავშირის ინტერესებს. ამხ. გიულინგი საკითხის გარჩევისას შეეხო მოსაზღვრე კომისიის წევრთა მკვლელობის ფაქტს და აღნიშნა, რომ ამხ. ამხ. ლავროვისა და ლეგინოვის მკვლელები აქამდე ფინეთის ტერიტორიაზე იმყოფებიან ფინეთის მთავრობამ კი არავითარი სერიოზული ზომა არ მიუღია საქმის გამოსაძიებლათ. ფინეთის მოსაზღვრე ხელისუფლება საბოტაჟს უწევს 1922 წელს დადებულ სანაპირო ხელშეკრულებას.

ამიტომ გიულინგი საჭიროთ სთვლის, რომ ფინეთ-რუსეთის შეთანხმების რატიფიკაციის საკითხი დროებით გახსნილი დარჩეს.

ამხ. ჩიჩერინი დაწვრილებით ჩერდება იმ პირობებზე, რომლებშიაც მოხდა მოსაზღვრე კომისიის წევრთა მკვლელობა და აღნიშნავს, რომ მკვლელობა ჩადენილი იყო ფინეთის ტერიტორიიდან გადმოსულ პირებით; მკვლელობის აქტი მომხდარიყო ფინეთის ტერიტორიაზე და ამიტომ მკვლელობისათვის პასუხისმგებელია ფინეთის მთავრობა და ფინეთის ადგილობრივი ხელისუფლება. აღნიშნავს რა, რომ ფინეთის გარეშე საქმეთა მინისტრი უარყოფითად ეპყრობა სანაპირო შეთანხმების პროექტს, რომელსაც ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს კარელიის ხელშეუხებლობის უზრუნველყოფისათვის, ამხ. ჩიჩერინი წინადადებას იძლევა ამხ. გიულინგის წინადადება მიღებულ იქნეს შემდეგი ფორმით: „ცაკ"-ის სესია ავალებს პრეზიდიუმს მოახდინოს ნევაზე ფინეთის გემთა მიმოსვლის საკითხზე რუსეთ-ფინეთის შეთანხმების რატიფიკაცია იმ დროს, როდესაც მოლაპარაკება ფინეთთან ამხ. ამხ. ლავროვისა და ლეგინოვის მკვლელობის საქმისა და კარელიის ხელშეუხებლობის უზრუნველყოფის შესახებ შექმნის ამის შესაძლებლობას". ამხ. ჩიჩერინის წინადადება მიღებულია ერთხმათ.

დებულება სადირექტივო სახალხო კომისარიატების შესახებ.

ამხ. მამია ორახელაშვილის მოხსენება

მოსკოვი. 9 ნოემბერი. საკავშირო კის სესიის გუშინდელ სხდომაზე . ორახელაშვილმა წარადგინა ოექტი დებულებისა სადირექტივო ალხო კომისარიატების შესახებ.

ენი კონსტიტუცია ძლიერია თავისი რეალობით.

„ჩვენი სახელმწიფო შენდება ორ ფუძველზე—კლასიურზე და ნაციონალურზე. კლასობრივი მხრით ჩვენ ოლიუტურათ ცენტრალისტები თ. ამავე დროს ჩვენ ანგარიში და გაუწიოთ ს. ს. რ. კავშირის რთა ნაციონალურ თავისებურობს და შევიტანოთ ეს ჩვენს ნსტიტუციაში. ცენტრალიზაციანილი საერთო საკავშირო კომისარიატები შეეფერებიან საბჭოთა ხელისუფლების კლასობრივ ფუძველს. მეორე მხრით, ჩვენ აქვს კომისარიატები, რომლებიც მოხატავენ ნაციათა მისწრაფებებს შეეფერებიან ცალკე რესპუბლიკების კულტურულ ისტორიულ და ყოფა-ცხოვრების თავისებურობებს. კომისარიატები აბსოლიუტურათ ტონომიური არიან.

ამ ორი სახის კომისარიატებს შორის არიან სადირექტივო კომისარიატები, რომელთაც აქვთ ორი ცენტრი—ერთი კავშირში, ხოლო მეორე ადგილობრივ რესპუბლიკებში. ამ სახალხო კომისარიატების ცენტრალური ორგანოები იძლევიან საერთო დირექტივებს და იმუშავებენ ხელმძღვანელობითი ხასიათის საფუძვლებს. დამატებითი კანონმდებლობა ტარდება ადგილებზე სათანადო ერთსახელოვანი კომისარიატის მიერ.

დებულება სადირექტივო სახალხო კომისარიატების შესახებ, შეიცავს რა სისწორით კლასობრივ და ნაციონალურ პრინციპებს, ქმნის მსოფლიოში ერთად ერთ მტკიცე კონსტიტუციონური შენობის საძირკველს. დემოკრატიული კონსტიტუციები ევროპაში ქრებიან ფაშისტური ქარის პირველი დაბერვისთანავე. ჩვენი კონსტიტუცია, რომელიც მთელს მსოფლიოში პირველი გამოხატავს ძალთა რეალურ შეფარდებას, მტკიცეა“.

მოხსენების გამო ილაპარაკა მხოლოთ ამხ. ლარინმა, რომელმაც მოითხოვა დამყარებული იქნეს წესი, რომლითაც ყველა ახალ გადასახადებს და არსებულთა გადიდებას უნდა ადასტურებდეს საკავშირო ცაკის სესია. ამხ. ლარინმა მოითხოვა აგრეთვე გაუქმება სასურსათო სახალხო კომისარიატის, როგორც ზედმეტი აპარატის. დებულება ლარინის შესწორებით გადაეცა კომისიას.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

აჭარა

უმუშევართა სასადილო.

ბათომი. 8 ნოემბერი. უმუშევართა სასადილო განთავისუფლებულია ყველა გადასახადებისაგან, გარდა ელექტრონის გადასახადისა. სახალხო კომისართა საბჭომ მილიარდ-ნახევარი მანეთი გადასდო სასადილოს მოსაწყობად.

სოფლო საბჭოების ხელახალი არჩევნები.

გორი. 8 ნოემბერი. ნოემბრის დაწყისიდან შეუდგნენ სასოფლო საბჭოების ხელახალ არჩევნებს. მაზრა აიყო რაიონებად, საბჭოების აპარატთა ახალი გეგმის მიხედვით. არჩევნები 8 ნოემბერს დაიწყება. ინიშნა მუშაკები ადგილობრივ არჩევნების ხელმძღვანელობის გასაწევად. საბჭოების სამაზრო ყრილობა 30 ნოემბერს მოხდება.

დამზღვევი კასის მოღვაწეობა

გორი. 8 ნოემბერი. სამაზრო დამზღვევ კასას ოქტომბრის განმავლობაში გაუცია ერთდროულ დახმარე- 2.187 902 000 მანეთი. მშობიარობისათვის—1.330.195 000 მანეთი. ფულად—1 539 155.000 მ. ინვალიდებისათვის—871 236 000 მან. [illegible]ბისათვის—393 მილიონი უმუშევრებისათ—146 022 000 მრთელობის განყოფილებისა- მედიკამენტების შესაძენად 300.000 მან.

პარტიული ცხოვრება

ტფილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობა 1923 წლის სექტემბერში და ოქტომბერში

დასასრული (იხ. „კომ.“ № 258)

რაიონი: გამოცდა გაიარა [illegible]მა. პირველ კატეგორიაში ჩაიცხა 187 (27 პროც), მეორე კატეგორიაში—241 (35 პროც.), მესამეში—183 (26 პროც), მეოთხეში (12 პროც.),

მთელს ტფილისის ორგანიზაციაში გამოცდა გაიარა 2 214 წევრმა. ამ რიცხვიდან პირველ კატეგორიაში ჩარიცხული იქნა—827 (38 პრ.), მეორე კატეგორიაში—783 (35 პროც.) მესამე კატეგორიაში—464 (21 პრ). და მეოთხე კატეგორიაში—140 (6 პროც.)

ამ რიგ პირველ რაიონში, რომელიც თითქმის სავსებით მუშებისაგან შესდგება, კანასკნელი ადგილი უჭირავს. ყველა წინ კი მეოთხე რაიონი დგას, რადგან მასში უმრავლესობას ინტელიგენტები წარმოადგენენ. რასაკვირველია ეს პირველობა მას ეკუთვნის არა რევოლიუციონურ, არამედ თეორიულ ცოდნის მხრივ. მუშათა რაიონებში მთავარია—ინტუიცია და კლასობრივი თვითშეგნება, აქ კი—წიგნი. გამოცდამ მეტად გააძლიერა ცოდნისადმი ინტერესი. მუშები დარწმუნდენ, რომ უსწავლელად დარჩენა შეუძლებელია და გამოცდამდე დიდი ხნით წინ წიგნს მიჰკიდეს ხელი. ეხლა ისინი ჩქარობენ, რომ რაიონებმა გახსნან სკოლები და შეიძლება სრული რწმენით ითქვას, რომ თუ ეხლანდელი სუ[illegible] განწყობილება დროებითი არ არის, წლის შემდეგ გამოცდა სულ სხვა სურათს მოგვცემს. ლექტორთა რიცხვის სიმცირის გამო საგიტ.-საპრო განყოფილება ვერ გახსნის ამ თვეში სკოლების საკმაო რიცხვს საჭირო იქნება ერთგვარ რიგის დაწესება.

ამჟამათ დასახულია პოლიტიკურ საუბრის სარაიონო სკოლების, პოლიტიკურ ცოდნის სკოლებისა და მარქსისტულ წრეების შემდეგი ქსელი:

1 რაიონი: 3 სარაიონო სკოლა (ქართულ და რუსულ ენაზე და აგრეთვე ახალგაზრდათა კომკავშირისათვის), 6 პოლიტიკურ ცოდნის სკოლა და ორი პირველდაწყებითი წრე. მე-2 რაიონი: 3 სარაიონო სკოლა (რუსულ, ქართულ ენებზე და კომკავშირისათვის), პოლიტიკურ ცოდნის 8 სკოლა და ერთი მარქსისტული წრე. მე-3 რაიონი: 2 სარაიონო სკოლა (რუსულ და სომხურ ენებზე) და პოლიტ. ცოდნის 5 სკოლა. მე-4 რაიონი: 3 სარაიონო სკოლა, პოლიტცოდნის 8 სკოლა და 2 მარქსისტული წრე.

სულ: 11 სარაიონო სკოლა, პოლიტიკურ ცოდნის 27 სკოლა და 3 მარქსისტული წრე.

წარსულში ჩვენ ფართოთ ვღებდით ჩვენი სკოლების კარს უპარტიოთათვის და უკანასკნელნი ხშირათ პარტიულებსაც სჭარბობენ. ეხლა კი ჩვენ სასტიკათ ვხელმძღვანელობთ სკოლებში მიღების შემდეგი ნორმით: პარტიულები 60 პროც., ახალგაზრდათა კომკავშირის წევრები—25 პროც. და უპარტიონი—15 პროც.

მეცადინეობა სკოლებში იწარმოებს მსმენელთა მშობლიურ ენაზე. მეცადინეობის ხასიათი—ლექცია და საუბარი. სააგიტ.-საპროპ. განყოფილების მიერ გამომუშავებულია და მიღებულია სამი ტიპის პროგრამა. გარდა ამისა სწარმოებს თვითგანვითარების გეგმა-პროგრამების გამომუშავება.

საანგარიშო პერიოდში გატარებულია ოთხი პოლიტიკური კამპანია, სახელდობრ:

1) ყოფილ მენშევიკების ყრილობის შედეგები,

2) ბაქოს 26 კომუნარის მოკვლის წლის თავი,

3) დახმარება გერმანიის პროლეტარიატს,

4) კომპარტიის ამოცანები მიმდინარე მომენტში.

ყველა კამპანიებისათვის შედგენილია თეზისები, გამოშვებულია ფურცლები, იმართებოდა კრებები წარმოებებში. ბაქოს 26 კომუნარის მოკვლის წლის თავზე გადახდილ იქნა გრანდიოზული სამოქალაქო პანაშვიდი სახელმწიფო ოპერის თეატრში.

განსაკუთრებული აღფრთოვანებით ტარდება გერმანიის პროლეტარიატის დახმარების კამპანია.

საკითხი გერმანიის ამბების შესახებ ირჩეოდა ყველა უჯრედებში, წარმოებების მოსამსახურეთა საერთო კრებებზე. ყოველგან მიღებულ იქნა რეზოლიუციები, რომელშიც მოითხოვენ აქტიურ დახმარებას გერმანიის რევოლიუციისათვის. დიდათ მნიშვნელოვანია აგრეთვე კამპანიის მატერიალური მხარე. მუშებს საკუთარი ინიციატივით შემოჰქონდათ ოქროს ნივთები, ერთი დღის სამუშაო ხელფასი, ავსებდენ ხელისმოსაწერ ფურცლებს; გამოწვევა გაზეთის საშუალებით ღებულობს აზარტის ხასიათს. დღემდე შეგროვილია 2000 ჩერვონეცზე მეტი, შემოწირულებათა შემოსვლა კვლავ გრძელდება.

კამპანიების გამო საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებამ გამოუშვა ფურცლები:

1) ახალგაზრდობის დღისათვის—13,000 ეკზემპ., (5 600 რუსულ ენაზე, 5,000 ქართულათ და 3000 სომხურათ).

2) 26 კომუნარის მოკვლის წლის თავზე—12,000 ეკზემპ (5,000 რუსულათ, 5000 ქართულათ, 2000 სომხურათ).

3) გერმანიის ამბების გამო—12,000 ეკზემპ (5,000 რუს; 5,000 ქართულათ, 2,000 სომ.) და პლაკატები—1000 ეკზ. ყველა ენებზე.

ტფილისის კომიტეტის წიგნთსაცავში 20 ოქტომბერს მოიპოვებოდა 4,746 ეკზემპლიარი წიგნი და მუდამ იგზავნებოდა ახალი ლიტერატურა. ხელისმომწერთა რიცხვი უდრის დაახლოვებით 500 კაცს, სამკითხველოში ყოველდღიურათ საშუალოთ დადის 40 კაცი. რაიონული სამკითხველოები იმყოფებიან ძლიერ ცუდ პირობებში. იქ საერთოდ ცუდათ არის წიგნების საქმე დაყენებული. წიგნებიც ნაკლები მოიპოვება სკოლებს ლიტერატურა ნაკლებათ მისდით.

როგორც ყოველთვის, ანგარიშის დამთავრება გვიხდება მაზრებში საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების მუშაობის სისუსტეზე მითითებით. ყველა ფურცლები, თეზისები, წიგნები მუდამ ეგზავნება მაზრებს, მაგრამ უშუალო ხელმძღვანელობის მოგვარებას საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება ვერ ახერხებს: სუსტია კავშირი, არ არის ძალები, ადგილებზე არ არის მოწესრიგებული საგიტაციო-საპროპაგანდო ორგანოები; ტფილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების არსებული აპარატი ძლიერ მცირე რიცხოვანია და დატვირთულია მუშაობით ქალაქში და მას საშუალება არ აქვს უშუალოთ უხელმძღვანელოს მუშაობას მაზრებში. ეს განუხორციელებელი იქნება მანამდე, სანამ მაზრებში არ იქნებიან საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებათა ისეთი გამგეები, როგორიც არიან ქალაქის რაიონებში, რომელთაც შეეძლებათ მთელი მუშაობის წარმოება და მჭიდრო კავშირის დაჭერა ტფილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებასთან. საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებას მუდმივი მუშაკი რომ მაინც ჰყავდეს მაზრისათვის, მუშაობა უფრო ინტენსიური იქნებოდა. საორგანიზაციო განყოფილების ინსტრუქტორს საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების დავალებების შესრულება არ შეუძლია, ვინაიდან ზოგიერთ შემთხვევაში ამ მუშაობასთან არ არის გაცნობილი. მას შეუძლია მხოლოთ ინფორმაციის მოწოდება სამაზრო მუშაობის შესახებ და დავალებების გადაცემა, მაგრამ ეს სრულებით არ სწყვეტს საკითხს ადგილებზე მუშაობის და ხელმძღვანელობის შესახებ.

ტფილისის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე **მ. ეხხენი.**

ქალ. ზესტაფონი (შორაპნის მაზრა)

31 ოქტომბერს ზესტაფონის რაიონის პარტიულ კომიტეტს ესტუმრა ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის პ | მ. ორგანიზატორი ამხ. ზ. ტრაპაიძე, რომელმაც გადასინჯა როგორც რაიკომის მუშაობა. ისე ყველა დაწესებულებები. შემდეგ დღის 3-ს საათზე ქალ. ზესტაფონის საზამთრო თეატრის დარბაზში გაიხსნა რაიკომის პ | მ. მდივნის ხელმძღვანელობით ზესტაფონის რაიონის კომუჯრედების კრება. დღის წესრიგში იდგა შემდეგი კითხვები: 1) კომუნისტური პარტიის ამოცანები მიმდინარე მომენტში. 2) ინფორმაციული მოხსენება რაიკომის მუშაობის შესახებ, 3) ზოგადი შეფასება პოლიტ-ცოდნისა.

1-ლ საკითხზე მოხსენებას აკეთებს ამხ. ზებედე ტრაპაიძე, რომელმაც დაახასიათა გერმანიაში მომხდარი ამბები; აგრეთვე შეეხო საფრანგეთის, ინგლისის, ამერიკის და იაპონიის მდგომარეობას და აღნიშნა ამ სახელმწიფოების შინაური ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობა.

მოხსენების შემდეგ მიღებულ იქნა სათანადო რეზოლიუცია.

რაიკომის მუშაობის შესახებ, რაიკომის პ | მ. მდივანმა გააკეთა ინფორმაციული მოხსენება, რომელმაც აღნიშნა, რომ ერთიანი პარტიული დღე სისტემატიურად ტარდება. უჯრედებსა და საბჭოთა ორგანოებს შორის კარგი დამოკიდებულებაა, ანტი-რელიგიური კამპანია უმტკივნეულოთ ჩატარდა, ქალთა შორის მუშაობა მოისუსტებს, მაგრამ სხვა რაიონებთან შედარებით არა უშავს რა; მენშევიკური პარტიის ლიკვიდაცია სტიქიურათ მიმდინარეობს.

ამხ. ზ. ტრაპაიძემ მოახდინა უჯრედების წევრთა შორის პოლიტცოდნის შემოწმება.

დამსწრე.

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი ტფილისში.

(9 ნოემბერი).

ჩერვონცები — — —	100,000
გირ. სტერლინგ. ეფექტ.	94,000
ჩეკები —	89,000
დოლარები ეფექტ. —	22,000
ჩეკები	20.500
ოსმ. ქალ. ლირა	11.000
იტალიური ლირა	620
ფრანგული ფრანკი	930
საბჭ. ფულის ნიშნები	13 ნახ

მუშკოპის ფასები.

პური 1 ხარ.—550 ათ., პური 2 ხარ.—450, ძროხის ხორცი—1350 მ. შაქარი რაფინადი 4 850 ათ., ფხვნილი შაქარი 3200 ათ., ვერმიშელი—1450 ათ., კარტოფილი—150 ათ.

ტფილისის ბაზრის ფასები.

პური 1 ხარ.—700-800, პური 2 ხარ.—500, ძროხის ხორცი—1500, ცხვრის ხორცი 1.900—2 მილ. შაქარი რაფინადი 4800—5 მილ. ფხვნილი შაქარი 3200 მ, ბრინჯი ალდაშის—1,200, მაკარონი 1600, კარტოფილი—200 ათასი.

ბირჟის მიწოდება.

ხორბალი 70 ვაგონი. ქერი 60 ვაგ. ლაგოდეხის დაუჭრელი თამბაქო 1 და 2 ხარ. ფხვნილი შაქარი რუს. და გოლანდიური. კანიფოლი. სალომასი. შაბიამანი. აბრეშუმი. სპილენძი. სკიპიდარი ფრანგ. ქიმიური ნაწარმოები. ფანჯრის მინა. კაუსტიური სოდა. ასანთი რუს. საპონი. ცემენტი და ეტერნიტი. ელექტრო-ტეხნიკური მასალა. რკინეულობა. ქვამარილი ნახიჩევანის. საკანდიტრო ყუბანის ფქვილი. ალდაშის ბრინჯი.

ბირჟის მოთხოვნილება.

ფხვნილი შაქარი რუს. შაქარი რაფინადი. ტყავის ღვედები. სალომასი. მზესუმზირას ზეთი. ყუბანის ფქვილი 1 ხარ. ტეხნიკური ცხიმი. ლურსმანი. ჩაი. ასანთი რუს.

ოფიციალური გარიგებანი.

რუს. ქალ. მანუფაქტურა საფეიქრო სინდიკატის პრეისკურანტის ფასებში. შაქარი ფხვნილი გოლანდიური 12 მ. 20 კ. ფუთში, ფრანკო-გამყიდველის საწყობი.

ბირჟის გარეშე გარიგებანი.

6 ნოემბერს ბირჟის გარეშე დადებულია 5 გარიგება. სულ 15,389 ჩერვ. მან. თანხისა.

საქონლის ბაზრის განწყობილება.

პურეულის და ხორბლეულის ბაზარზე ცოტად განცხოველება ეტყობა, აგრეთვე შაქრის ბაზარზე. რძის ნაწარმოების, ტეხნიკური ცხიმის და მარილის ბაზრებზე—მტკიცეა, ალდაშის ბრინჯის და „ზარნაშ“-ს ბაზარზე—სუსტი. დანარჩენ ბაზრებს ცვლილება არ ეტყობა.

ვალიუტის ბაზრის განწყობილება.

„ჩერვონცის კურსმა კვლავ აიწია (100 მილ. მან.). მას მისდევს უცხო ვალიუტის აწევაც.

სრ. ქიმიკოსთა კავშირის მესამე ყრილობა

ყრილობის მესამე სხდომა

საორგანიზაციო საკითხი.

მომხსენებელი ამხ. ბაბაჯანოვი აღნიშნავს, რომ კავშირის მორიგი ამოცანა ორგანიზაციულ სფეროში არის საკავშირო მუშაობის შემდეგი გაღრმავება.

ცენტრალურმა გამგეობამ მეტად სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს მასასთან კავშირის გაძლიერებას და გაღრმავებას.

ახლო მომავალში მთელი საკავშირო მასა გადაყვანილი უნდა იქნეს ინდივიდუალურ წევრობაზე.

ფინანსიურ პოლიტიკის სფეროში, კავშირი რაც შეიძლება ჩქარა უნდა გადავიდეს ხარჯთ-აღრიცხვითი არსებობაზე მთელ საკავშირო მასშტაბით, დაწყებული ფაბკომიდან და გათავებული ცენტრალურ გამგეობით.

ფინანსიურ პოლიტიკის სიმტკიცე უნდა სჩანდეს, როგორც საკავშირო საშუალებების მაქსიმალურ ეკონომიაში დ საკავშირო აპარატების საზღვრობით შეკუმშვაში, ისე საწევრო გადასახადების თავის დროზე აკრეფაში.

კავშირის ურთიერთ დამხმარე კასამ მოქმედების დიდი უნარი გამოიჩინა, ამიტომ კავშირის ცენტრალური გამგეობა უნდა ეცადოს, რომ კასის მუშაობაში ჩაბას კავშირის ყველა წევრები.

სატარიფო ეკონომიური საკითხი.

სატარიფო საკითხის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. არაკელოვი, რომელიც აღნიშნავს მიღწეულ შედეგებს მუშებისათვის შრომის ხელფასის მომატების საქმეში, რომელმაც თავის მხრივ ხელი შეუწყო ქიმიურ მრეწველობის განვითარებას.

შემდეგში კავშირმა უნდა განამტკიცოს შრომის ხელფასის მიღწეული დონე და არ უნდა დაუშვას, რომ შემცირებულ იქნეს მისი რეალური გამოცოცხლება. ამასთანავე კავშირი უნდა ეცადოს, რომ ასწიოს ჩამორჩენილ წარმოების მუშების ხელფასი.

დღევანდელ ეკონომიურ პირობებში გაფიცვების გამოყენება საზარალოთ უნდა იქნეს ცნობილი და ისინი დაშვებულნი უნდა იქნენ მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში კავშირის ცენტრალურ გამგეობასთან და საქართველოს პროფკავშირთა საბჭოსთან შეთანხმებით. დასასრულ ამხ. არაქელოვი შეჩერდა კავშირის ამოცანებზე ეკონომიურსა და შრომის დაცვის სფეროში.

კულტ განმანათლებელი საკითხი.

კულტურულ საკითხის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ბაბაჯანოვი, რომელიც აღნიშნავს მთელ რიგ არასასურველ მიზეზებს, რომელნიც ხელს უშლიდენ კავშირის კულტურულ მუშაობას და მის გაშლას. კავშირის მორიგი ამოცანები კულტურულ განმანათლებელ სფეროში გამოიხატება შემდეგში: უარის თქმა განათლების სახალხო კომისარიატის ფუნქციებზე, საგიტაციო-საპროპაგანდო და პროფესიონალურ-პროპაგანდისტულ მუშაობის გაძლიერება, კავშირის წევრების კულტურულ, ყოფა-ცხოვრების და ესტეტიურ მოთხოვნილებების გამორკვევა და დაკმაყოფილება.

ცენტრალური გამგეობა უნდა შეეცადოს, რომ ახლო მომავალში გახსნას საფაბრიკო საქარხნო მოწაფეობის სკოლები მსხვილ ქიმიურ წარმოებებთან. კავშირმა აგრეთვე სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს კავშირის წევრების ფიზიკურ განვითარებას.

კულტ განმანათლებელ სფეროში მნიშვნელოვან შედეგების მისაღწევათ, კავშირმა ყოველი ღონე უნდა იხმაროს, რომ გააძლიეროს კულტფონდი.

თეზისები საორგანიზაციო, კულტ-განმანათლებელ და სატარიფო ეკონომიურ საკითხების შესახებ მიღებულ იქნა შეუსწორებლივ.

ამხ. სერგო ორჯონიკიძის მოხსენება სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა საზოგადო კრებაზე

სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა საბჭოს მიერ 6 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე, უნივერსიტეტის შენობაში, ოქტომბრის რევოლიუციის 6 წლის თავის აღსანიშნავათ მოწვეულ იქნა ამავე უნივერსიტეტის სტუდენტთა საზოგადო საზეიმო კრება, რომელზედაც მოხსენებით ოქტომბრის რევოლიუციის 6 წლის თავის და გერმანიის მდგომარეობის შესახებ გამოვიდა ამხ. ორჯონიკიძე. კრებას დაესწრო მრავალი სტუდენტობა, რომელთა რიცხვი 3.500 აღემატებოდა. კრება, რომელიც ვერ მოთავსდა ვერცერთ აუდიტორიაში, სტუდენტთა საბჭოს წარმომადგენელი იძულებული შეიქნა გაეხსნა ქვეითა სართულში, რომელიც სრულიად გაჭედილი იყო სტუდენტებით. მქუხარე ტაშით შეხვდა მრავალრიცხოვანი კრება ამხ. მომხსენებელს. ვრცელ მოხსენებას, რომელმაც გასტანა ორ საათზე მეტი, დიდის ყურადღებით უსმენდა სტუდენტობა და ტაშის ცემით აწყვეტინებდა ორატორს სიტყვას. მოხსენების და შეკითხვების დასასრულს უხეირო ფრაზეოლოგიით გამოვიდა ერთი „მოწინააღმდეგე“, რომელსაც „ძირს“ ძახილით შეხვდა მრავალრიცხოვანი კრება. თვით მომხსენებლის თხოვნით, მას მიეცა საშუალება დაემთავრებინა თავისი სიტყვა, რის შემდეგ მომხსენებელმა დარიგების სახით, მრავალი ახსნა-განმარტებებით და ფაქტების მოყვანით გასცა სათანადო პასუხი. სტუდენტობა დიდათ კმაყოფილი დარჩა ძვირფასი სტუმრის წვევით და მისი მოხსენებით.

დასასრულ კრებამ ერთხმად დაადგინა: სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა და ამავე უნივერსიტეტთან არსებულ მუშათა ფაკულტეტის მსმენელთა საერთო კრებამ, მოისმინა რა მოხსენება ამხ. სერგო ორჯონიკიძესა ოქტომბრის რევოლიუციის ექვსი წლის თავის და გერმანიის მდგომარეობის შესახებ, გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია. თებერვლის რევოლიუციის შემდეგ დამყარებულ კოალიციონურ მთავრობის პოლიტიკა იყო წმინდა ბურჟუაზიული, მენშევიკურ-ესერული ხელისუფლება ყველაზე აქტიური გამტარებელი იყო მილიუკოვ-ლვოვის იმპერიალისტურ ზრახვების და ურთგულესი დამცველი წვრილ-ბურჟუაზიულ დემოკრატიის სულისკვეთების. რუსეთის მუშებმა და გლეხებმა რევოლიუციისაგან ვერ მიიღეს ვერავითარი კონკრეტული პოლიტიკური და ეკონომიური გარანტიები ერთადერთი ძალა, რომელსაც შეეძლო ნამდვილი რევოლიუციონური ხელისუფლების დამყარება და [illegible] მშრომელი ხალხის საბოლოო განთავისუფლება, იყო ბოლშევიკური პარტია, დღეს კომუნისტურად წოდებული. მუშათა და გლეხთა მიერ მოხდენილი ოქტომბრის რევოლიუცია არის უდიდესი აქტი არა მარტო რუსეთის, არამედ მთელი მშრომელი კაცობრიობის განთავისუფლების. ოქტომბრის რევოლიუციის ექვსი წლის თავი ყველაზე საიმედო და ძლიერი საბუთია საერთაშორისო პროლეტარიატის გამარჯვების. ოქტომბრის რევოლიუციამ გაანთავისუფლა ყოფილ რუსეთის იმპერიის მშრომელნი კლასობრივ და ეროვნულ [illegible]. ოქტომბრის რევოლიუციის ექვსი წლის თავი სრულდება გერმანიაში წარმოებულ უდიდეს ქარტეხილის დროს, იმ დროს, როდესაც სოციალისტურ მოძრაობის კლასიკურ ქვეყანაში სამკვდრო-სასიცოცხლოთ შეება ერთი მეორეს ფაშიზმი დ გერმანიის სახელოვანი პროლეტარიატი გერმანიის კომუნისტური პარტიის უშუალო ხელმძღვანელობით. ოქტომბრის რევოლიუციის ექვსი წლის თავი მეტ ენერგიას და კლასობრივ ბრძოლის ახალ სასიცოცხლო ძალებს შემატებს გაშმაგებულ ბრძოლაში მყოფ გერმანიის პროლეტარიატს. კავშირი საბჭოთა გერმანიასა და სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის იქნება უტყუარი გარანტია ევროპის ფაშიზმის და იმპერიალიზმის უახლოესი განადგურების. სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტობა უერთებს თავის მკვეთრ ხმას სოციალისტურ რესპუბლიკების მშრომელებთან ერთად გერმანიის პროლეტარიატს.

გაუმარჯოს ძლევამოსილ ოქტომბრის რევოლიუციას!

გაუმარჯოს მის სახელოვან ბელადებს—ამხ. ლენინს და ტროცკის.

გაუმარჯოს გერმანიის პროლეტარიატის ბრძოლას!

ძირს ფაშიზმი!

გაუმარჯოს მსოფლიო ოქტომბერს!

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!

ასე აზროვნობს ქართველი სტუდენტობა. ის თანდათან რწმუნდება საბჭოთა ხელისუფლების სიმტკიცეში, მის სამართლიანობაში. სამი წლის საბჭოთა ხელისუფლების პრაქტიკამ საქართველოში ნათლად დაანახვა სტუდენტობას საბჭოების უნარი, მათი წინსვლა კულტურისაკენ, აღმშენებლობისაკენ, გამარჯვებისაკენ მუშაობის ყოველ დარგში. ამით აიხსნება სწორედ ის, რომ ზოგიერთ მოსყიდულ ვაჟბატონებს „ძირს“ ძახილით უმასპინძლდებიან. კმარა, სტუდენტობა ხედავს სინამდვილეს, საკმაოდ შეაფასა ის და მსგავსი ლათაიები მასზე გავლენას ვერ იქონიებს.

სტუდენტი.

ბანდიტების გასამართლება ყარაიაზში

26 ოქტომბერს ყარაიაზში გაემგზავრა აღმოსავლეთ საქართველოს საოლქო სასამართლოს სესია შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარეთ—ამხ. დ. ნასარიძე, მსაჯულნი ს. ქორიძე, მ. არლოვი, პროკურორის ამხ. ქ. ჩხიკვაძე, და მდივანი შ. ნოზაძე. სესიამ განიხილა ყარაიაზის რაიონის სოფელ ქესალოს მცხოვრებთა საქმე. 1) მეგრალი შამედ სოუნ-ოღლის, 2) მუხტი ვალი-ოღლის, 3) ამავე სოფლის კომისრის თანაშემწის ყარა ისმაილ-ოღლის, 4) სოფელ ყარათაფაში მცხოვრების, ყარაიაზის რევკომის წევრის ჰასან გუსეინ-ოღლი ალალაროვის, 5) მცხოვრებნი სოფელ ნაზარლოში დიდი მემამულეები ისა-ხან ისა-ოღლის, და 6) ყურბან მუსტაფა-ოღლი ბაირამოვის, რომელთაც ბრალდებოდათ ბოროტმოქმედება, ყაჩაღობა და მექრთამეობა გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 13, 16, 117, 146 და მე-2 რე ნაწ. 191—მუხლებით.

საქმის ვითარება შემდეგშია 1921 წ. 20 ოქტომბერს აზერბეიჯანის გლეხებმა მცხოვრებმა სოფელ ბაზახგალის თაუზის მაზრის გამბარ მეშადი მუსა ოღლიმ, რასულ გული-ოღლიმ და მათთან ოთხმა კიდევ სხვამ გამოდენეს მსხვილფეხა საქონელი გასაყიდათ ტფილისში 27 სულამდე. როდესაც ისინი მოუახლოვდენ ყარაიაზის რაიონში საბალახო მთაგორიან ადგილს „ჯანგირიათაქში“, მათ მოულოდნელათ თავს დაესხენ ოთხი შეიარაღებული ცხენოსანი ყაჩაღები, ასტეხეს სროლა, გახრიკეს ყველა, ე. ი. ოთხი კაცი, რომელნიც საქონელს მიყვებოდა, ხოლო ორი კი რკინის გზით მატარებლით გამოემგზავრენ ნავთლუღის სადგურში შესახვედრათ, და როდესაც მათ ჯიბეში ფული არ აღმოაჩნდათ, შემდეგ ამოარჩიეს საუკეთესო ოთხი ძროხა და ორი ხარი და გადენეს სოფელ ქესალოში.

თავდასხმის დროს ორი ბანდიტი შორი ახლოდან ადევნებდა თვალყურს; წინასწარ გამოძიებამ ვერ აღმოაჩინა მათი ვინაობა.

ტფილისის აღმასკომის წევრმა ამხ. მესხმა მისცა განკარგულება ყარაიაზის რევკომის თავმჯდომარეს ბაირამოვს აღმოეჩინა ბოროტ-მოქმედნი. ამ უკანასკნელმა საქმე მიანდო რევკომის წევრს ბრალდებულს ჰასან გუსეინ ოღლი ალალაროვს. თუმცა ამ უკანასკნელმა ზოგიერთი დამნაშავენი აღმოაჩინა, მაგრამ საქმეს კანონიერი მსვლელობა არ მისცა და რევკომის თავმჯდომარესთან და ქესალოს კომისრის თანაშემწესთან ერთად ყაჩაღებისაგან საკმაო დიდი ქრთამის აღების შემდეგ დაზარალებულ აზერბეიჯანელ გლეხებს სიკვდილის მუქარის ქვეშ ხელი მოაწერიეს ვითომ მათ დაკარგული საქონელი ნახეს და მიუყიდეს ყაჩაღების ნათესავებს.

სასამართლომ მიუსაჯა: 1) მეგრალი შამედ-სოუნ ოღლის და მუხტი ვალი-ოღლის უმაღლესი სასჯელი—დახვრეტა, 2) ყარა ისმაილ ოღლის, 3) ჰასან გუსეინ ოღლი ალალაროვს, 4) ისა-ხან ისა-ოღლის და კურბან მუსტაფა-ოღლი-ბაირამოვს კი ქრთამის აღებისათვის და ყაჩაღების დაფარვისათვის ათ ათი წლით თავისუფლების აღკვეთა მკაცრი იზოლიაციით და მთელი ქონების ჩამორთმევით.

ქრონიკა

ნოე ხომერიკის დაპატიმრება

გუშინ, საქ. საგ. კომისიის აგენტებმა დააპატიმრეს ტფილისში. საქ. სოც. მენშევიკური პარტიის ერთი ბელადთაგანი, ბანდების ორგანიზატორი, ჩოლოყაშვილის თანამებრძოლი, ნოე ხომერიკი.

— **პენსიონერთა შესახებ.** შრ. კომისარიატმა დაამტკიცა დადგენილების პროექტი იმ პირთა შესახებ, რომლებიც პენსიას ღებულობენ სოც. დაზღ. სამმართველოდან და ამავე დროს აქვთ ჯამაგირი ან სხვა შემოსავალი.

— **არტელის წევრთა დაზღვევა.** შრ. სახ. კომისარიატმა დაამტკიცა ტფ. დამზღვევ კასის დადგენილება, არტელის წევრთა დასაზღვევათ 12 პროც. ანარიცხის დაწესების შესახებ.

— **„დამზღვევი კასის წევრი“.** იბეჭდება და ახლო ხანში გამოვა დაზღვეულებისა და დაინტერესებულ პირთათვის სახელმძღვანელო „დამზღვევი კასის წევრი“ შედგენილი ს. კილაძის მიერ.

— **ახალგაზრდა უმუშევართა სექციის გაუქმება.** შრ სახ. კომისარიატმა დაადგინა შრომის ბირჟასთან არსებული ახალგაზრდა უმუშევრების სექცია გაუქმდეს და აღრიცხულნი განაწილებულნი იქნენ სხვადასხვა სათანადო სექციებში.

— **შრომის ბირჟის კომიტეტის რეორგანიზაცია.** შრ. სახ კომისარიატმა დაადგინა მოხდეს შრომის ბირჟის კომიტეტის რეორგანიზაცია. ახლა კომიტეტში შევლენ: თავმჯდომარეთ შრომის ბირჟის გამგე, წევრებად—სახალხო მეურნეობის უმაღ. საბჭოს, ქ. აღმასკომის, მიწად მოქ. სახ. კომისარიატის, საქ. პროფკავშირთა საბჭოს, რკინისგზის სამმართველოს და დამზღვევ კასის წარმომადგენლები.

— **უმუშევართა ხელახალი რეგისტრაცია.** 15 ნოემბრიდან დაიწყება უმუშევართა ხელახალი რეგისტრაცია.

— **ცეცხლის მქრობელ ავტო მანქანის შეძენა.** ქალ. აღმასკომმა დაადგინა სოხუმის ცეცხლის მქრობელ რაზმს გაუგზავნოს ერთი ავტო-მანქანა.

— **სავადმყოფოების საგნების განახლება.** სავადმყოფოების საგნების (ინვენტარის) გასაახლებლათ ჯანმრთელობის სახ. კომისარიატმა მიმდინარე წელს მიიღო 7 მილიარდი.

— **ლექციები დედათა და ბავშვთა შესახებ.** მიმდინარე წელს ჯანმრთელობის კომისარიატის მიერ მოწყობილ იქნა ლექციები დედათა და ბავშვთა თავდაცვის შესახებ, მარტო ტფილისში—49, პროვინციებში—19.

— **მალიარიის წინააღმდეგ.** ჯანმრთელობის კომისარიატთან არსებულ სამალარიო სადგურთან ტფილისში არსდება სპეციალური ამბულატორია მალიარიასთან საბრძოლველათ. ამბულატორიაში წამლობა უფასოთ იქნება.

— **სადაო მიწების საქმეთა შესახებ.** ა.-კ ცენტრ. აღმასკ. კომიტეტის დადგენილებით სადაო მიწების საქმეთა გადა აწყვეტად კომისიაში შევიდენ შემდეგი პირები: ამხ. სტურუა, კასიანი და იაკუბოვი.

— **სატრანსპორტო ძალთა აღრიცხვა.** ა.-კ ცენტრ. აღმასკ. კომიტეტის დადგენილებით სატრანსპორტო ძალთა აღრიცხვის კომისიაში შევიდნენ: ამხ. ატაბეკოვი თავმჯდ. წევრებათ—ქართველიშვილი, ლომინაძე, [illegible]-ზადი და ჰუსეინოვი.

— **შრომის ბირჟა.** 8 ნოემბერს აღრიცხვაზე გამოცხადდა 99 უმუშ. ახლად ჩაიწერა—45, გაიგზავნა სამუშაოზე—56 უმუშევარი.

— **სამეცნიერო საზოგადოებაში.** კვირას, 11 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე, ყოფილ პირველ ტეხნიკუმის შენობაში (გუნიბის ქ. № 46) სამეცნიერო საზოგადოების მორიგ სხდომაზე წაკითხული იქნება მოხსენებები: 1. ი. აბულაძის მიერ: „უძველესი ქართველი მემატიანის სპარსული წყარო“ და 2. ვ. თოფურიას მიერ: „ორმაგი უარყოფა ქართულში“ დასწრება გარეშეთაც შეუძლიათ.

— **სამეცნიერო საჯარო დისპუტი.** კვირას, 2 საათზე, სახელმწიფო უნივერსიტეტში დანიშნულია სამეცნიერო საჯარო დისპუტი. ა. ჯანელიძის მიერ წარმოდგენილ შრომის შესახებ გეოლოგიის დოქტორის ხარისხის მისაღებად.

შემთხვევები

— დაჭრა. 7 ნოემბერს მუშტაიდის შესახ. № 3, მოქ. იოსებ არუთინოვმა სასიკვდილოთ დასჭრა მარუსია მელაშვილი, დამნაშავე შეიპყრეს.

— ეკლესიის გაქურდვა. 6 ნოემბერს გაქურდეს სოფ. მამიკონის წმინდა ბარბარეს ეკლესია, საიდანაც წაიღეს ძვირფასი ნივთები.

— ბინის გაქურდვა. 5 ნოემბერს გაქურდეს მოქ. მაშო დოლონაძის ბინა (კამოს ქ. № 9) წაღებულია სამი მილიარდის ნ ვთები. ბოროტმოქმედი აღმოჩნდა ვლადიმერ ვოლოვსკი. იგი შეიპყრეს.

— ქურდის შეპყრობა. 6 ნოემბერს, ღამის 2 საათზე, მოდარაჯე მილიციონერმა შეიპყრო ბოროტმოქმედი გაბის მამედ ბაგიროვი.

— ქურდობა. 6 ნოემბერს გაქურდეს მოქ. ალექსანდრე კობიძის ბინა (მაგისტრალის ქუჩა № 1) წაღებულია რამდენიმე მილიარდის ნივთები.

ხელოვნება

სახელმწიფო ოპერა.

„მოცარტი და სალიერი“, „ისპანური კაპრიჩიო“ და „ღამე ლისის მთაზე“.

სახელმწიფო ოპერის სცენაზე დადგეს რუსეთის დიდებულ კომპოზიტორის რიმსკი-კორსაკოვის ერთმოქმედებიანი ოპერა „მოცარტი და სალიერი“.

ოპერის როგორც სიუჟეტი, ისე მუსიკა გამსჭვალულია სევდით. ამით ხელმძღვანელობდა, ალბათ, მოქ. რაპოპორტი, რომელმაც დასდგა ოპერა: ოპერა თავიდან ბოლომდე დადგმულია სამგლოვიარო ნახევარტონებში—დაწყებული მიზანსცენებით და გათავებული მინორულ განწყობილებით სცენაზე; რაპოპორტის მიზანსცენები დადგმის ყველაზე უფრო დიდი პლიუსია და აქ მან გამოაშკარავა თავისი მხატვრული გემოვნება.

მეტათ ლამაზია სინათლის ეფექტები, რომლის შუქში ნათლად მოსჩანს სალიერისა და მოცარტის ფიგურები; ლამაზ განწყობ ლებას ქმნის სიბნელე რეკვიემის შესრულების დროს რიმსკი-კორსაკოვის ნაწარმოები კამერული ხასიათისაა და ამიტომ მისი შესრულება მოითხოვს განსაკუთრებულ სიღრმეს და ის დამთავრებულათ უნდა იყოს შესრულებული.

აქ მხოლოდ ორი მოქმედი პირია და სალიერის პირველ მონოლოგის გარდა მთელი ოპერის განმავლობაში სწარმოებს დიალოგი სალიერსა და მოცარტს შორის.

ამ ნაწარმოებში არ არის დამთავრებული საოპერო ფორმები (დუეტები, არიები და სხვა); აქ სიმღერაში სჭარბობს რეჩიტატივები და მელოდეკლამაცია და ამიტომ პარტიების შემსრულებლებმა, განსაკუთრებით კი სალიერის პარტიის შემსრულებელმა, ვოკალური ნაწილი უნდა შეასრულონ mezzo-voce-ან, დამთავრებული ფრაზიროვკით და ნათელი დიქციით. არ უნდა დაიკარგოს არც ერთი სიტყვა.

მოცარტის პარტია ნაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე სალიერის პარტია,—აქ საჭიროა მხოლოდ გენიალურ კომპოზიტორის გარეგნული სახის გადმოცემა, სახის, რომელიც გამსჭვალული უნდა იყოს სევდიანი ლირიზმით.

ორივე შემსრულებლების, ისეცკის და ევლახოვის შესრულება არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად იქნეს ცნობილი. ისეცკიმ უნდა შეიმუშაოს უფრო ნათელი ფრაზიროვკა და დინამიკა,—უფრო მკაფიო მელოდეკლამაციური დიქცია. მომღერალმა მონოლოგი არ უნდა იმღეროს მთელის ხმით, აქ მნიშვნელოვანია მხოლოდ განწყობილება—ეს ხომ სალიერის ფარული აზრებია.

მეტად ლამაზია გარეგნული სახე როგორც პირველ, ისე მეორე სურათში, მაგრამ მიმიკაში არ უნდა სჭარბობდეს სიძულვილი, რადგან სალიერის უყვარს მოცარტი—თუმცა ის უძლურია გაუმკლავდეს შურის მოზღვავებულ გრძნობას.

ევლახოვი გენიალურ კომპოზიტორის მშვენიერ სურათს იძლევა, მაგრამ მელოდეკლამაციაში ისიც მოისუსტებს; შემდეგ მოცარტი ხომ უკიდურეს სიღარიბეში მოკვდა, როგორც ცნობილია, ის დასაფლავებულია საზოგადო სასაფლაოზე, რადგან საშუალება არ იყო, რომ მისთვის ცალკე საფლავი ეყიდათ,—და ამიტომ მდიდრული ფარჩის კოსტიუმი არ შეეფერება სინამდვილეს. მეტად ლამაზია რეკვიემის შესრულების მომენტი.

„ისპანიური კაპრიჩიო“. მგონი პირველათ იყო დადგმული ბალეტი კაპრიჩიოს თემაზე და სიმართლე უნდა ითქვას, რომ ბალეტი კოლორიტულათ იყო დადგმული. საინტერესოა ცალ-ცალკე ცეკვა და საერთო დაჯგუფება. ბრბო მოძრაობს და სცხოვრობს სცენაზე. ცალკე ნომრებიდან კარგია გიტანის ცეკვა (ანდრეევა) და მეორე ესპანიური ცეკვა (ლეონოვა).

კარგათ ცეკვავენ დისკოვსკი, სერგეევი და ლიტვინენკო, რომლებიც აღტაცებულ ესპანელთა ტიპიურ სახეებს იძლევიან. კარგია მასიური ცეკვაც. ბალეტმა კარგი შთაბეჭდილება დასტოვა. ლამაზია პირველ მოცეკვავეთა და კორდებალეტის მიმიკა.

„ღამე ლისის მთაზე“ სიმფონიური პოემაა, რომელიც ეკუთვნის კომპოზიტორს მუსორგსკის. პოემის ძირითადი სურათია ბრძოლა ბნელ და ნათელ დასაწყისს შორის. ასეთია მუსიკალური დახასიათებაც. დასაწყისში ვაკხანალიაა და ფინალში კი ნათელი მუსიკა და ბნელი ძალების დაღუპვა. ამიტომ გაუგებარია პოემის ულტრა-მოდერნისტული დადგმა თბილისის სცენაზე. დადგმა ტენდენციოზურია და ის მოკლებულია მხატვრულ მხარეებს, რადგან არ შეიძლება მხატვრულათ მივიჩნიოთ სირბილი და ხტუნვა სცენაზე და სხვა ამდაგვარი ტრუკები. ასეთი დადგმა არ შეეფერება სერიოზულ სცენას.

მუსიკოსი.

— **ხელოვნების სასახლეში.** დღეს საღამოს 9 საათზე ხელოვნების სასახლეში გაიმართება სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის ლიტერატურული საღამო. შესავალ სიტყვას წარმოსთქვამს პაოლო იაშვილი. კ. კაპანელი წაიკითხავს მოხსენებას „ტრამპიზმი და მარადობის იდეა“ მოხსენების თავმჯდომარე: გრიგოლ რობაქიძე. ოპონენტი: შალვა ნუცუბიძე.

— **ნიკოლოზ ფიროსმანის ნახატების გამოცემა.** იბეჭდება და ახლო ხანში გამოვა ნიკ. ფიროსმანის ნახატების წიგნი. წიგნში მოთავსებული იქნება ბიოგრაფია ფიროსმანის და წერილები ფიროსმანზე.

— **ვაჟა-ფშაველას ნაწერები რუსულად.** პოეტმა მანდელშტამმა რუსულად გადათარგმნა ვაჟა-ფშაველას პოემა „გოგოთურ და აფშინა“, რომელიც უკვე დაიბეჭდა ჟურნალ „აღმოსავლეთში“. მანდელშტამს განზრახვა აქვს აგრეთვე გადათარგმნოს ვაჟას პროზაული ნაწერებიც რუსულად.

— **ახალი ფანტასტიური პოემა.** პოეტმა სანდრო შანშიაშვილმა დასწერა ახალი ფანტასტიური პოემა „ულბერდ ბატონიშვილი“.

— **„ჯიმმი ჰიგინსი“.** ითარგმნება ქართულად უპტონ სინკლერის ნაწარმოები „ჯიმმი ჰიგინსი“.

— **„წითელი ჩანგი“.** გამომცემლობა „წითელი ჩანგი“ შეუდგა რე-

მუშათა ცხოვრება

პასუხი მუშკორ „მელითონეს“
(იხ. „კომუნისტი“ № 253)

გაზეთ კომუნისტის № 253-ში მოთავსებულია წერილი შემდეგი სათაურით: „მუშებისათვის მიუღებელია“. აქ ავტორი ეხება საექიმო დახმარებას ლითონის განყოფილების მუშა-მოსამსახურეებისათვის. მას მიუღებლად მიაჩნია ის გარემოება, რომ სამკურნალო ქვე-განყოფილებას გადაუწყვეტია ლითონის მუშა-მოსამსახურეებისთვის სამკურნალო დახმარების გაუმჯობესება, რაც გამოიხატება სტაციონალურ ავადმყოფების საერთო წესით ექიმობა. ავტორი აღნიშნავს, რომ ახალი სისტემით მუშა-მოსამსახურეები დაშორდებიან საექიმო დახმარებას და იმათ მოუხდებათ ექიმის მოსაწვევ ტალონისათვის სიარული ცენტრში, რაც დიდ დროს მოითხოვს და სხვა. ამას გარდა ლითონის მუშები შეჩვეულნი არიან იმ ექიმებთან, რომელიც ეხლა უწევს მათ დახმარებას. ამაზე უნდა ვთქვა შემდეგი: მართალია, მელითონეები შეჩვეულნი არიან თავის ექიმებთან, მაგრამ მათ არავინ აშორებს შეჩვეულ ექიმებს; ისინი ძველებურად განაგრძობენ ავადმყოფ მელითონეების ექიმობას, ამბულატორიაში. რაც შეეხება სტაციონალურ ექიმობას, ეს კი უსათუოდ მოხდება საერთო წესით, რაც არამც თუ დააშორებს საექიმო დახმარებას, არამედ კიდეც დაუახლოვებს მათ. მაგ. ამდენხანს მთელ ქალაქში მელითონეებს უწევდა საექიმო დახმარებას მხოლოდ ორი ექიმი, ახალი სისტემის შემდეგ კი მათ განკარგულებაში იქნება 60—70 ექიმი და 25—30 კონსულტანტი, რაც ბევრად შეცვლის და დაუახლოვებს მათ საექიმო დახმარებას. ამას გარდა ის ორი ექიმი, რომელიც უწევდა საექიმო დახმარებას ამ დრომდის ერთ რაიონში და ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ ახლო მცხოვრებ მელითონეებისათვის, და განაპირა უბნებში მცხოვრებლებს კი საერთო წესით უხდებოდა ექიმობა და ძალიან შორს სირბილი ექიმობისათვის, რაც ნორმალურ მოვლენად ვერ ჩაითვლება. შემდეგ, ის ორი ექიმი, რომელიც ამ დრომდის უწევდა დახმარებას, შეიძლება კარგები იყვენ მხოლოდ თავის სპეციალურ დარგში, რაც შეეხება სხვა ავადმყოფობას, როგორიც არის: ქირურგიული, ვენერიული, ყელ-ყურისა და სხვა, ყველა ამათში მაინც საერთო წესით უხდებოდათ მელითონეებს ექიმობა. ამიტომაც, როცა სამკურნალო ქვე-განყოფილება ფიქრობდა ძველი სისტემის ახალზე შეცვლას, მხედველობაში ჰქონდა ყოველივე ეს და და სწორედ ამიტომაც გადასწყვიტა ახალი სისტემის შემოღება, რაც ძალიან გააადვილებს მელითონეებს სამკურნალო დახმარების მიღებას. რაც შეეხება ტალონებს, მელითონეები მიიღებენ ტალონებს ყველგან, სადაც არის დაწესებული ტალონების გაცემა და აგრეთვე ლითონის განყოფილების ადგილკომთან; რაც სრულიად გააბათილებს იმ აზრს ავტორისას, რომ ტალონის მისაღებათ მელითონე დაჰკარგავს მთელ დღესო.

სამკურნალო ქვე-განყოფილების გამგე: ხუტულაშვილი.

მეტი ყურადღება სამუშაოს სწორი ნორმების დაწესებას.

ყველა თამბაქოს ფაბრიკებში მუშები დაწესებულ ნორმებზე პაპიროსების მეტი რიცხვის დამზადებისათვის იღებდნენ ჯილდოდ პრემიებს, რომლებიც ხშირად ძირითად ჯამაგირის 45—50 პროცენტს შეადგენდა. ამასთანავე უნდა ითქვას, რომ ასეთ ჯილდოებს მუშების მცირე ნაწილი იღებდა, რადგან ჯერ ნორმაზე მეტის დამზადება დამოკიდებულია სამუშაოს ხასიათის და შემდეგ თვით მუშების ხელსისწრაფისა და სიმარჯვისაგან.

ამასთანავე უნდა ითქვას, რომ მუშებს შეეძლოთ ყურადღება არ მიექციათ საქონლის კარგად დამზადებისათვის, ოღონდ კი ნორმაზე მეტი გაეკეთებიათ და პრემია მიეღოთ.

ეხლა პრემიები მოისპო.

გავარჩიოთ, ეს მოვლენა დადებითია, თუ უარყოფითი?

ცხადია, დადებითია

მიუხედავად იმ სა, რომ მუშა ნორმაზე მეტ საქონელს ამზადებს, ამისათვის იღებს პრემიას, რომელიც, უეჭველია, მის მატერიალურ მდგომარეობას აუმჯობესებს, მას სრულებით ავიწყდება, რომ ამავე დროს ის ასეთ შეუწყვეტელ და თავგანწირულ მუშაობით ავათმყოფდება და ადრე ბერდება.

მაშასადამე, პრემიების მიღება მედიცინის თვალსაზრისით მავნებელია მუშებისთვის.

ახლა ამ მოვლენას წარმოების გაუმჯობესების მხრივაც შევეხოთ.

აქ თუ შევხედავთ მუშების პრემიებით დამზადებულ საქონელს, განცვიფრებაში მოვალთ.

პრემიებისათვის მუშაობა, ცხადია, იძლევა საქონლის საგრძნობ რაოდენობას და არა მის კარგ ხარისხს.

მაშასადამე, პრემიების დარიგება წარმოებისათვისაც მავნებელი გამოდის.

გამოვდივართ რა ყველა ზემოაღნიშნულისაგან, მას შემდეგ, რაც პრემიალური ჯილდოები მოისპო, აუცილებლად მიგვაჩნია, რომ გადათვალიერებულ და საზოგადოდ დაწესებულ იქნეს სწორი სამუშაო ნორმები, რომ არ ექნეს ადგილი სხვადასხვა გაუგებრობას იმ მხრივ, რომ ზოგიერთ განყოფილებაში სანახევროდ მუშაობით და თითქმის გაზეთის კითხვითაც დამზადდეს ნორმა და ზოგში თავგანწირული მუშაობითაც არ იქნეს ასეთი მიღწეული.

მუშკორი მახა.

კულტურული მუშაობა ჩვენს მუშებში უფრო ენერგიულად უნდა სწარმოებდეს

საპონ ზეთის ტრესტის წარმოების მუშათა კულტურული მდგომარეობა ვერ სდგას თავის დონეზე აქ ჩვენ საქმე გვაქვს იმ მუშებთან, რომელნიც ნამდვილი ფაბრიკა ქარხნის მუშები არიან და ასეთ მუშებში ჩემის აზრით შეგნება და კულტურული მდგომარეობა მეტ დონეზე უნდა იდგეს, ვიდრე ეს აქ არის. ამჟამად არ შეიძლება ითქვას, რომ აქაური მუშები დამაკმაყოფილებლად ეტანებოდენ მათთვის საჭირო წიგნებისა და ბროშიურების კითხვას და რაც, მთავარია, მუშებს გაზეთებიც ძალიან ცოტა აქვთ გამოწერილი. ასეთი დაუდევრობა და არ გატაცება მუშების თვითგანვითარების ძიებისაკენ, მე ვფიქრობ, აიხსნება ალბად იმით, რომ ვერ ეწევა შესაფერ კულტურულ მუშაობას ადგილობრივი კულტკომისია. საჭიროა, უკანასკნელის მიერ მეტი მუშაობა, რომ გაღვიძებულ იქნეს ამხ. მუშებში მეტი კულტურული მისწრაფება, მეტი კითხვა ჟურნალ-გაზეთების და მეტი მომზადება და განვითარება. მუშა, რომელიც არ სცდილობს თვითგანვითარებაზე თავისთავის მტერია.

მუშკორი ჩხმედი.

ჯანმრთელობის კომისარიატში

ამა წლის 27 ოქტომბერს შესდგა აღნიშნულ კომისარიატის მუშა-მოსამსახურეთა საზოგადო კრება, რომელზეც სხვა საკითხებთა შორის დასმული იყო საკითხი კოოპერაციის შესახებ. ამ საკითხზე ფრიად შინაარსიან მოხსენებით გამოვიდა ამხ. ანინი.

მუშკოოპში მომხმარებელი 10 პროცენტით უფრო იაფად ყიდულობს მისთვის საჭირო სანოვაგეს, ვიდრე ბაზარზე. ამჟამად მუშკოოპს გახსნილი აქვს 27-მდე მაღაზიები და საწყობები. გახსნილი არის აგრეთვე რძის ფერმა, საიდანაც მიიღება და რიგდება საუკეთესო ხარისხის რძე უფრო იაფ ფასებში, ვიდრე ბაზარზე. მაგრამ მუშკოოპს ჯერ კიდევ არ შეუძლია კონკურენცია გაუწიოს კერძო ბაზარს. მუშებმა და მოსამსახურეებმა თავისი აქტიური მონაწილეობით ხელი უნდა შეუწყონ მუშკოოპის საქმის განვითარებას და გაფართოებას, რომ მუშკოოპმა შესძლოს გადიქცეს კერძო ბაზრის ფასების მოკარნახედ და მბრძანებლად. ეს კი მოხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ყველა მუშა მოსამსახურე შეიგნებს ამას და ჩაეწერება წევრად მუშათა კოოპერატივებში. ჯერ-ჯერობით კი მუშკოოპის წევრად დაახლოებით 40.000 მუშა მოსამსახურეთა საერთო რიცხვიდან მხოლოდ 13.000-მდე ითვლება წევრებად, რაც დამაკმაყოფილებლად არ შეიძლება ჩაითვალოს. ამჟამად მუშკოოპს დასახული აქვს მიზნად, მიაწოდოს მუშებს 40 ჩერვ. მანეთის საღირალი ფეხსაცმელი, ტანსაცმელი და სხვა გრძელვადიან სესხის სახით

შემდეგ ამხ. ანინი შეეხო რა ლოთობას, აღნიშნავს, რომ ლოთობის აღმოსაფხვრელად ვერავითარი დამკვრელი ზომები ნაყოფს ვერ გამოიღებს, საჭიროა ხანგრძლივი სისტემატიური ბრძოლა ამ მუშათა კლასის უბედურების წინააღმდეგ. ამისათვის მუშკოოპს განზრახული აქვს მთელი რიგი „წითელი ტრაქტირების“ გახსნა, სადაც მუშისთვის მოწყობილი იქნება სხვადასხვა გასართობები ხელმისაწვდომ ფასებში.

მიღებულ რეზოლიუციაში კრება ადგენს (მუშკოოპის მნიშვნელობის სრული შეგნებით) მიიღოს ყოველივე ზომები ჯანმრთელობის კომისარიატის მუშა-თანამშრომლებთა შორის მუშკოოპის წევრების რიცხვის გამრავლების შესახებ.

მუშკორი ა. ნ.

სახალხო დრამა
(განათლების სახალხო კომისარიატის და ქალ. აღმასკომის საყურადღებოდ)

გაივლის კიდევ დიდი ხანი და მაინც არ აღმოუჩნდება ჩვენს სახალხო დრამას გულშემატკივარი და საშველი არსაიდან იქნება!.. სჩანს „წყეულ ბედს“ ასე დაუწერია მისი ისტორიის ფურცლებზე, რომ თავისი დღენი ქონებრივ სილატაკეში გაატაროს და წარმოდგენების დეფიციტები ათიოდე გულშემატკივრმა (სცენის მოყვარეებმა), დაჰფარონ ღარიბ ჯიბიდან.

— ჩვენ, მუშებმა კარგად ვიცით, რომ სახალხო დრამის სული და სხეული ისეა ჩაქსოვილი ჩვენს სულსა და სხეულში, რომ უამისოდ ჩვენ საშინელ ობლობას ვგრძნობთ, სულით გავლატაკდებით და ჩვენი ღარიბი ხალხის გათვითცნობიერების საქმეც დავიწყებას მიეცემა...

— ჩვენ ისიც ვიცით, რომ სახალხო დრამამ აგვეხილა თვალები; მან გვასწავლა ენა; იგი მიგვიძღვებოდა პოლიტიკურ განვითარების ეკლიან გზაზე; მან შეგვაყვარა ბრძოლა მჩაგვრელების წინააღმდეგ და ამის მეოხებით აფრიალდა, ჩვენი საამაყო წითელი დროშა...

დღეს კი აშკარაა ერთი რამ: სახალხო დრამას არავინ ეხმარება; მიუხედავათ მის მიერ მრავალი უფლებების მოპოვებისა ფორმალურათ.

ვინ უნდა სთქვას თავისი პირველი და უკანასკნელი სიტყვა, ჩვენი დრამის საბედნიეროდ?

საზოგადოებამ?—არა, იგი მრავალფეროვანია.

ინტელიგენციამ?—არა იგი სულ არ გაიკარება ამ საქმეს, რადგან ჩვენი მუშა—მსახიობები ვერ აკმაყოფილებენ მათ „განვითარებულ“ ესთეტიურ გრძნობებს..

მაშ ვინ?

ჩვენ, მუშებმა, უნდა ამოვიღოთ ხმა და დავიცვათ ჩვენი გრძნობის და სულის მატარებელი სახალხო დრამა..

ჩვენ შევქმენით მუშური საქმე და ისევ ჩვენ უნდა ვზიდოთ მისი შენარჩუნების მძიმე უღელი, და ჩვენსავე წარმომადგენლებს სახალხო დრამაში ენერგია გაუასკეცოთ საქმის მმართვა-მოწყობაში.

დახმარება, რომელიც აუცილებელია, ქალაქის აღმასკომის კომპეტენციაში შედის, ჩვენ ვიკისროთ და სულ მცირე დახმარება, თუგინდა 1 პროცენტის გადადება ყოველთვიურად თვითეულ მუშისათვის არაფერია, მაგრამ იგი საერთო საქმეს ძლიერ გამოადგება და ჩვენი დრამის ცხოვრებაში ახალი ერა დადგება!

მაშ, მეტი სიყვარული და თანაგრძნობა ამ საქმისადმი და მით ავამაღლოთ მისი დანიშნულება ღარიბ ხალხისათვის.

მუშა გ. გ-ძე.

პასუხი.

მუშა-კორესპონდენტს ნიკო მკერვალს.

გაზეთ „კომუნისტში“ № 248 მოთავსებული იყო წერილი „ყოვლად დაუშვებელი მოვლენა“-ს სათაურით. მიწად-მოქმედების კომისარიატის სატყეო განყოფილების გამოძიებით გამოირკვა შემდეგი: ჩაილურის მცხოვრებთ შემოუტანიათ ქ. ტფილისში ნავთლუღის მხრიდან ოთხი ურემი შეშა. სატყეო „ხერგილის ზასტავი“-ს გამგეს არსებულ წესის მიხედვით შეუჩერებია მეურნეები და მოუთხოვია ტყის გამგისაგან მიცემული ბარათები. ბარათი მეურმეებს არ აღმოჩენიათ და განუცხადებიათ, რომ იმათ ასეთები დაჰკარგეს „ხერგილის“ გამგის იქვე შეუტანია მეურნეების განცხადებაში, რადგანაც ყველა უბარათოების ჩვეულებრივი პასუხია: „ბილეთი დავკარგეთ“ და შეშა ჩამოურთმევია ისტრუქციის მიხედვით.

მეურმეები გამოცხადდენ სატყეო განყოფილებაში საჩივრით, სადაც მათ განუმარტეს, რომ მათ სიმართლის აღსადგენად მოეტანათ ასლი ბარათებისა ტყის გამგისაგან. ისენიც წასულან პირდაპირ ტყის გამგესთან საბუთების მოსატანად. „ხერგილის“ გამგეს დარწმუნებული იმაში, რომ მეურნეები უბარათოდ იპარებოდნენ და ბარათის დაკარგვა გამოიგონეს, ჩამორთმეული შეშა სხვა დაკავებულ შეშასთან ერთად მიუყიდნია ქალაქის სასაკლაოს ადმინისტრაციისათვის და აღებული ფული ხაზინაში შეუტანია, ამის შემდეგ კი გამოცხადებულან გლეხები სათანადო საბუთით, რომ შეშა მათ კანონიერად მოჰქონდათ, მაგრამ მათი შეშა უკვე გაყიდული იყო და ფული ხაზინაში შეტანილი.

სატყეო განყოფილებამ უკვე გასცა განკარგულება დაუბრუნდეს მეპატრონეებს შეშა ნატურით ან და მისი საფასური.

ამრიგად ინცინდენტი ამოწურულად უნდა ჩაითვალოს.

სატყეო განყოფ. გამგე ა. ესსენ.

ვოლიუციონურ ლექსების „წითელი ჩანგის“ გამოცემას.

— **ტერენტი გრანელის საღამო.** კვირას 11 ნოემბერს, რუსთაველის თეატრის საინსტიტუტო დარბაზში გაიმართება ტერენტი გრანელის საღამო. სიტყვები: ქ. კაპანელი—„პოეტი და სევდა“, გ. ნადირაძე,—„ტერენტი გრანელი“, მონაწილეობენ პოეტები და მწერლები: გალაკტიონ ტაბიძე, ს. შანშიაშვილი, ვარლამ რუხაძე, ობოლი მუშა (თავაძე), ხარიტონ ვარდოშვილი, დუტუ მეგრელი, შიო მღვიმელი, ლეო ქიაჩელი, შიო არაგვისპირელი, ვასილ ბარნოვი, დარია ახვლედიანი, მიქელ პატარიძე, გ. ქუჩიშვილი, ლ. ძიძიგური, დემნა შენგელაია და სხვები.

დღეს თეატრებში

— **სახელმწიფო ოპერა.** წარმოდგენა პროფკავშირის წევრებისათვის „ურიის ქალი“.

— **რუსთაველის თეატრი.** ქართული წარმოდგენა.

7 ნოემბერი დღესასწაული ეგ. ნინოშვილის სახელობის სკოლა-საკრებულოში

8 ნოემბერს, ეგ. ნინოშვილის სახელობის სკოლა-საკრებულოში გაიმართა ფრიად საინტერესო საღამო ამავე სკოლა-საკრებულოს მოწაფეთა მონაწილეობით. მოწაფეთაგან მწვანეულობით და ყვავილებით მორთული დარბაზი წინასწარ სტოვებდა განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას. აიხადა ფარდა „ინტერნაციონალის“ სიმღერით, რომელსაც ასრულებდა სკოლის მოწაფეებისაგან შემდგარი გუნდი, რის შემდეგ მოხსენებას აკეთებს „7 ნოემბრის მნიშვნელობის“ შესახებ მოწაფე თ. თინიკაშვილი. მომხსენებელი შეეხო „7 ნოემბრის“ მნიშვნელობას საერთოდ და კერძოდ ახალგაზრდობისათვის და განსაცვიფრებელი ენერგიით და ხიბლით წაკითხული მოხსენება დაამთავრა: „გაუმარჯოს 25 ოქტომბერს, გაუმარჯოს საერთაშორისო ოქტომბერს და ახალგაზრდობას“. მოხსენების შემდეგ მოწაფე ა. თოთიბაძემ წაიკითხა ვ. რუხაძის ლექსი „ეგ. ნინოშვილის ხსოვნას“, ლ. ისაკაძემ—იასამანის—„ნაწყვეტი“, თ. სალარიძემ—ობოლი მუშის—„მზის ჩასვლის ჟამს“. ქ. ლომიძემ—შიო მღვიმელის—„ნინოს სიზმარი“ და კ. ლორიამ—საკუთარი ლექსი. ლექსები წაკითხული იქნა საუცხოვოთ და დაკვირვებით. მოწაფეებს ეტყობოდათ მასწავლებელთა მზრუნველი ხელი და განსაკუთრებული, სიყვარულით გამთბარი ყურადღება.

ლექსების შემდეგ თ. ციხიშვილმა, ლუბა ისაკაძემ და ელ. ცაცუშვილმა ერთად (ტრიო) იმღერეს „ღამის მეხრე“. სასიამოვნო და ლამაზი ხმებით შესრულებულმა სიმღერამ აღტაცებაში მოიყვანა დამსწრენი. ტრიოს მოჰყვა სხვადასხვა სიმღერები. მეორე განყოფილებაში წარმოადგინეს ერთმოქმედებიანი პიესა „უმცროსი“. თამაში საუცხოვო, და ზედმიწევნით ბუნებრივი შესრულება. მაგრამ განსაკუთრებული შთაბეჭდილება დასტოვა მეორე წარმოდგენამ „რაჭველი გოგო ქალაქში“—კომედია 2 მოქ., რომელიც დაწერილია ამავე კლასის მოწაფე ეკ. ისაკაძის მიერ. პიესა დაწერილია მშვენიერი ენით და საუცხოვო მომენტებით, რომლის პატარა მსახიობებისაგან მოულოდნელმა შესრულებამ მხიარულებით აავსო დარბაზი. წარმოდგენის შემდეგ გუნდმა შეასრულა რამდენიმე სიმღერა და გაიმართა მოწაფე გოგონების თავისუფალი ვარჯიში. დასასრულ გაიმართა ცეკვა.

საღამომ დამსწრე საზოგადოებაზე დასტოვა დიდი შთაბეჭდილება.

სკოლის დარბაზი სავსე იყო მოწაფეთა მშობლებისაგან და მოწვეული სტუმრებისაგან. აგრეთვე საღამოს დაესწრენ განათლების კომისარის მოადგილე ამხ. მარიამ ორახელაშვილი, შრომის სასკოლო განყოფილების გამგე ამხ. ნინა ოკუჯავა, სასკოლო ჰასაკამდე აღზრდის განყოფილების გამგე ამხ. ელ. წულუკიძე და ამავე სკოლის შეფი მიწათ მოქმედების სახ. კომისარი—ამხ. ვ. სტურუა და მისი მოადგილე—ვ. კანდელაკი

X.

პროვინციაში

ხოფ. ახალციხის შეფი (გორის მაზრა)

5 ნოემბერს აღნიშნულ სოფელში ამხ. მიხეილ ბარნოვის თავმჯდომარეობით და ამხ. გელაშვილის მდივნობით შესდგა სოფლის საერთო კრება, რომელსაც დაესწრო 200 მცხოვრები. დღის წესრიგში იყო დასმული შემდეგი საკითხები: 1) შეფობის მნიშვნელობა, 2) საერთაშორისო მდგომარეობა, 3) ოქტომბრის რევოლიუცია და გერმანიის პროლეტარიატი და 4) მიმდინარე საკითხები.

პირველი ორი საკითხის შესახებ ვრცელი მოხსენება გააკეთა ამხ. ვ. დუმბაძემ, რომელმაც ფინსახკომის საქართველოში რწმუნებულის სამმართველოს და სახბანკის სახელით მხურვალე სალამი გადასცა თავის შეფობის ქვეშ მყოფ სოფელს. შემდეგ ის დაწვრილებით შეეხო თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობას და აუხსნა გლეხობას, თუ როგორი უნდა იყოს მისი მუშაობის ღირსეული ხაზი.

მესამე საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. კ. საყვარელიძემ, რომელმაც აუხსნა გლეხობას თანამედროვე გერმანიის მდგომარეობა.

შეკითხვებიდან გამოირკვა, რომ გლეხობას დღეს სოფელში სჭირდება საჩქაროდ იქნას გადაჭრილი საკითხები ტყის სარგებლობის, ტანისამოსის შეძენის, რაიონიდან მეტი ყურადღების მიქცევის, ტექნიკურ დახმარების, სასკოლო და საექიმო საქმის მოგვარების.

მრავალ შეკითხვებზე საჭირო პასუხის მიღების შემდეგ ერთხმად გამოტანილ იქნა რეზოლიუცია, რომელშიაც სოფ. ახალციხის გლეხობა მხურვალეთ მიესალმება საბჭოთა მთავრობას და აღუთქვამს მას ყოველგვარ დახმარებას მუშაობაში.

აქაური.

ბუკის ციხე (გურია)

ოქტომბრის 28 ს შესდგა ბუკისციხის თემის მცხოვრებთა კრება. დაესწრო თემის მცხოვრებთა უმრავლესობა. კრება გახსნა აღმასკომის თავმჯდომარემ დ. კეკელიძემ. თავმჯდომარეთ იქნა არჩეული მ. შარაშენიძე, მდივნათ ს. გურგენიძე. დღის წესრიგში იყო კითხვები: 1) საშეფო კომისიის მოხსენება; 2) 7 წლ. შრომის სკოლის შესახებ; 3) სახალხო სახლი; 4) ეკლესიების შესახებ; 5) ფილიპე კალანდაძის მოხსენება და სხვა.

პირველ კითხვაზე, ვინაიდგან საშეფო კომისიის წევრი ამხ. პანტელიმონ ჩხიკვაძე არ იყო, მის მაგიერ მოხსენება გააკეთა კრების თავმჯდომარემ და აღნიშნა, რომ ტფილისის სადგურის მუშების მიერ ბუკის ციხის თემის კულტურულ დაწესებულებებისათვის შეკრებილი არის 6 ჩერვონეცი და 30 მილ. მან., რომელიც ამხ. ჩხიკვაძემ გადმოსცა ამხანაგებს. კრებამ უღრმესი მადლობა გამოუცხადა ამხ. ჩხიკვაძეს და ყველა იმ ამხანაგებს, რომლებმაც კეთილ ინებეს და ბუკის ციხის თემს კულტურ. დაწესებულებებისათვის შემოსწირეს ზემოხსენებული თანხა.

კრებამ გადასწყვიტა ეს თანხა გადაიდოს სახალხო სახლის ფონდის გასაძლიერებლად. აგრეთვე არჩეულ იქნა კომისია, რომელსაც კრებამ დაავალა ზრუნვა ფონდის გაძლიერებაზე და შემდეგ სახ. სახლის აგების დაწყება. კომისიაში არჩეულ იქნენ: თეოფილე სიხარულიძე, ვალოდი კალანდაძე, პანტელიმონ ჩხიკვაძე, ფილიპე კალანდაძე, მ. შარაშენიძე, პ. კეკელიძე, ი. გურგენიძე. აღნიშნული 6 ჩერვონეცი და 30 მილიონი მან. გადაეცა კომისიას.

კომისია სთხოვს ყველა ამ თემის მცხოვრებთ, განსაკუთრებით მათ, რომლებიც სხვადასხვა ქალაქებში მუშაობენ, დახმარება გაგვიწიონ ამ ფრიად კულტურულ საქმის დაგვირგვინებაში.

მეორე კითხვის შესახებ მოხსენებას აკეთებს გამგე სასწავლებლისა მ. შარაშენიძე, მან აღნიშნა ის დაბრკოლებები, რომელნიც ხელს უშლიან სწავლის წესიერად დაყენებას.

სასურველია და მიზანშეწონილიც იქნება, რომ ოზურგეთის განათლების განყოფილება ადგილობრივ თვით თემის მცხოვრებთაგან დანიშნავდეს მასწავლებლებს, თუ ასეთები იქნებიან და მასთან შესაფერისი სწავლა და გამოცდილება ექნებათ.

სკოლის საქმის მოსაგვარებლად კრებამ აირჩია კომისია. ამასთანავე კრებამ აირჩია სასკოლო საბჭო სამი კაცისაგან შემდგარი: თ. სიხარულიძე, ვ. კალანდაძე და ნიკო გურგენიძე.

აგრეთვე მოსმენილ იქნა მოხსენება ეკლესიების კულტურულ-დაწესებულებებად გადაკეთების შესახებ. შემდეგ, წაკითხულ იქნა მოწერილობა ერთიან სამეურნეო გადასახადის სამეულის, რომელშიაც განმარტებულია, თუ ვის ეძლევა შეღავათი გადასახადების დროს. მეხუთე კითხვის შესახებ მოხსენება გააკეთა ფილიპე კალანდაძემ. მან აღნიშნა, რომ დღიდან დრამატიული წრის დაარსებისა, შემოსავალი მათ მიერ დადგმულ წარმოდგენიდგან მოხმარდა ადგილობრივ 7 წლიან შრომის სკოლას, სამკითხველოს და კომ-კავშირის ბიუროს ოთახის აგებას, რისთვისაც კრებამ მადლობა გამოუცხადა დასის წევრებს, აგრეთვე ფილიპე კალანდაძეს. დასასრულ, მოხსენება გააკეთა ამხ. თეოფილე სიხარულიძემ გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოთ კვირეულის ჩატარების და შემოწირულების შეგროვების შესახებ.

ამავე დღეს ადგილობრივ მოხდა ქალთა წრის კრება, სადაც მოხსენება გააკეთა ამხ. კატუშა კუჭავამ.

სტუმარი.

ბიბლიოგრაფია

ა. მ. ერქომაიშვილი
კოოპერაცია საქართველოში

წელიწადი არ შესრულებულა, რაც საქართველოს კოოპერაციიდან მენშევიკების ამ ერთ მნიშვნელოვან ციხე-სიმაგრიდან განდევნილ იქნენ საბჭოთა ხელისუფლების მოწინააღმდეგე ძველი კოოპერატორები. მუშურ-გლეხური დიქტატურის საფუძვლებზე მდგომი ახალი მესვეურნი კოოპერაციისა შეუდგენ დაავადებულ, სრულ დაღუპვის კარამდე მისულ და სახელგატეხილ კოოპერაციის აღდგენას. მოახდინეს მთელი რიგი მნიშვნელოვანი ცვლილებებისა, როგორც, მაგალითად, მთლიან მომხმარებელ საზოგადოებათა შექმნა და სხვა. ჯერ-ჯერობით კოოპერაციის მდგომარეობა კიდევ ვერ არის სახარბიელო და წარსული წლების ცუდი მემკვიდრეობა ისევ მძიმე ლოდათ აწევს ახალ საფეხურზე და სისტემაზე აგებულ საქართველოს კოოპარაციას.

მენშევიკები და მათი ამყოლ-დამყოლნი როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ კოოპარაციის დაღუპვის მიზეზს საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკაში ეძებდენ და ყოველ გზაჯვარადინზე გაჰყვიროდენ: კომუნისტები სდევნიან და ებრძვიან კოოპერაციასო. სინამდვილე კი სულ სხვას ლაპარაკობდა და ეს სინამდვილე აუარებელი სტატისტიკური მასალებით და ციფრებით აქვს ნათელყოფილი თავის წიგნში „კოოპერაცია საქართველოში“ ამხ. ა. ერქომაიშვილს. ავტორი ცნობილი კოოპერატორია რომელსაც საკმაო ცოდნა და გამოცდილება აქვს თავის უშუალო აქტიური მონაწილეობით საქართველოს კოოპერაციის განვითარებაში და მის მიერ მოყვანილი ფაქტებს და საფუძვლიან მოსაზრებებს მით უფრო მეტი ღირებულება ეძლევა.

ვისაც კი სურს და შეუძლია სინამდვილესთვის ანგარიშის გაწევა, ამხ. ერქომაიშვილის წიგნის წაკითხვის შემდეგ დარწმუნდება, რომ საბჭოთა მთავრობა გულწრფელად დაინტერესებულია კოოპერაციის ბედით და ყოველგვარ ღონისძიებებს იღებს მისი აღორძინება-გაძლიერებისთვის, საბჭოთა მთავრობა გაცილებით მეტ როლს უთმობს და აკისრებს კოოპერაციას, ვიდრე მენშევიკური მთავრობა. შინ მოკალათებული და საზღვარ-გარეთ გადახვეწილი მენშევიკთა პროვოკაცია და გოდება კომუნისტთა ძალმომრეობის შესახებ კოოპერაციაში ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია.

წიგნში მოთავსებულია ავტორის 11 წერილი: საქართველოს კოოპერაცია და საერთაშორისო კოოპერატიული ალიანს, სარაიონო კავშირები, საქართველოს კოოპერაციის მდგომარეობა მთლიანად („ცეკავშირი“ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე და მას შემდეგ), კოოპერაციის ნივთიერი ღონისძიებანი, საქართველოს კოოპერატიული ბანკი, მუშათა კოოპერაცია, სასოფლო სამეურნეო კოოპერაცია, კოოპერაცია და პოლიტიკური პარტიები, მენშევიკური სახელმწიფო და კოოპერაცია, საბჭოთა სახელმწიფოს დამოკიდებულება კოოპერაციისადმი, სახალხო სასურსათო კომისარიატი და კოოპერაცია.

ნაწილი ამ წერილებისა დაბეჭდილი იყო გაზეთ „კომუნისტში“ და სხვა ჟურნალ-გაზეთებში. ერთად შეკრებილნი ისინი გაცილებით უფრო მეტ შთაბეჭდილებას სტოვებენ და სრულებით მიზანშეწონილია და თანადროული მათი ცალკე წიგნათ გამოშვება ოქტომბრის რევოლიუციის ექვსი წლის თავზე.

საერთოდ წიგნი კარგათ არის გამოცემული, მაგრამ არის შეცდომებიც, როგორც, მაგალითად, წიგნის ყდაზე და პირველ ფურცელზე, სადაც წერია: „გამოცემა საქართველოს სოც. ფედ. საბჭოთა რესპუბლიკისა“ და სხვა. საქართველო ფედერატიული რესპუბლიკა არ არის და ასეთი შეცდომის აცილება ადვილათ შეიძლებოდა, თუ წიგნის გამომცემლები მეტი ყურადღებით მოეპყრობოდენ საქმეს.

წიგნი გამოცემულია ცეკავშირის მიერ, შეიცავს სულ 290 გვერდს, თანდართული აქვს სარჩევი და, როგორც ზევითაც მქონდა ნათქვამი, მეტად თანადროულია მისი გამოშვება ოქტომბრის რევოლიუციის ექვსი წლის თავზე, როდესაც საჭიროა თვალი გადავავლოთ მთელ ჩვენს წარსულ მუშაობას ცხოვრების სხვადასხვა დარგში, რათა კიდევ უფრო მეტი წინდახედულობით და მტკიცე ენერგიით შევსძლოთ ბრძოლის გაგრძელება მშრომელთა დიქტატურის სრული გამარჯვებისთვის.

ი. ბ.

წერილი რედაქციის მიმართ

ამხ. რედაქტორო!

„კომუნისტი“-ს № 226 მოთავსებულია ამხ. ლიმაშის წერილი, რომელიც ეხება და არა სისწორით აშუქებს ჩემი მოადგილის ამხ. ლებედევის სამსახურთან დამოკიდებულ მოქმედებას და მის მორალურ სახეს.

ცხადია, ამხ. ლიმაში შეცდომაში შეუყვანია ვიღაცას, ყალბი მასალების მიწვდენით. ამიტომ გთხოვთ, სიმართლის აღსადგენათ, „კომუნისტი“-ს ფურცლებზედ ადგილი დაუთმოთ შემდეგს:

1) ამიერ-კავკასიის საბაჟოების სამმართველოში ამხ. ლებედევი მსახურობს პირველი დღიდანვე ამ სამმართველოს დაარსებისა. მუშაობს აქ, როგორც მოადგილე სამმართველოს უფროსისა და მის ზედმიწევნით საქმის ცოდნაში და მუყაითობაში აქამდე არავის უფიქრნია იჭვი შეეტანა. იმისი „სპეცობის“ ფრჩხილებში ჩასმა მარტო ისეთ ადამიანს შეეძლო, ვისი არაწმინდა მოქმედება საბაჟოს უწყებაში ამხ. ლებედევის საქმიანობამ და დავალების პირნათლათ შესრულებამ „წმინდა წყალზე“ გამოიყვანა...

2) ამხ. ლებედევი რევოლიუციის წინ ამიერ-კავკასიის საბაჟოების ინსპექტორი იყო. მაშინდელ დროს ასეთ ადგილებს „გენერლების“ ადგილს უწოდებდენ. ამიტომ გენერლის „ჩინი“ც ჰქონდა (სტატსკი სოვეტნიკ). ნუთუ ეს გარემოება საკმარისია, რომ დღესაც ლებედევებს კონტრ-რევოლიუციონერები ვუწოდოთ? როგორც ამიერ კავკასიის საბაჟოების სათავეში მდგომი, ვალდებულათ ვთვლი თავს დავამოწმო, რომ ამხ. ლებედევის ჩემდამი რწმუნებულ უწყებაში მუშაობა ფრიად ნაყოფიერია და სასარგებლო საბჭოთა ხელისუფლებისათვის და მისი ყოფაქცევა და მუშაობა ოდნავათაც არ წააგავს კონტრ-რევოლიუციონერისას...

3) სრულიად მოკლებულია სიმართლის, თითქოს 1917 წ. რევოლიუციის შემდეგ ლებედევი მალე დაეთხოვოს სამსახურიდან, როგორც სხვა ამგვარი „კონტრ-რევოლიუციონერები“. პირიქით—ამხ. ლებედევი რევოლიუციის შემდეგაც დარჩა თავის ადგილზე და განთავისუფლებულ იქნა მხოლოდ 1919 წელს, როცა ამიერ-კავკასიის საბაჟოთა ინსპექცია სრულებით გაუქმებულ იქნა.

საყურადღებოა ისიც, რომ რევოლიუციის პირველ დღეებშივე ამხ. ლებედევი იმ დაწესებულების მოსამსახურეებმა, სადაც იმას რევოლიუციამდე უფროსის ადგილი ეკავა, აირჩიეს თავისი კომიტეტის თავმჯდომარეთ და ამ მოსამსახურეთა ნდობით აღჭურვილ თანამდებობას ექვსი თვის შემდეგ დაანება თავი. ეს ფაქტიც, მგონი, მისი „კონტრ-რევოლიუციონერობის“ წინააღმდეგ ლაპარაკობს...

4) საბაჟოთა ინსპექციის გაუქმების შემდეგ ამხ. ლებედევი მიწვეულ იქნა აზერბეიჯანში, სადაც არა ერთი საპასუხისმგებლო ადგილები ეკავა. მისი იმ დროს იქ მუშაობა და საქმიანობა კარგათ იციან ამხ. მირზა დაუდ გუსეინოვმა და სხ., რომლებთანაც ის მაშინ ერთათ მუშაობდა, და რომლების დახმარებითაც 1920 წ. ამხ. ლებედევი გადმოყვანილ იქნა ტფილისში, აზერბეიჯანის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის დიპლომატიურ წარმომადგენლობაში თანამშრომლათ.

5) დასასრულ, ხსენებულ წერილში ამხ. ლებედევს ეკითხებიან: „რა უყო მან იმ ოცდა-ოთხ მილიონ მანეთს, რომელიც მიიღო საბაჟო სამმართველოდან გასული წლის დეკემბრის ბოლოში უნივერსიტეტის ასისტენტის აკაკი ნაფეტვარიძის დამარხვაზე დასახმარებლათ და შესაწევათ, და რომელიც მას მაშინ დანიშნულებისამებრ არ გადაუცია და არც მოუხმარია“.

განსვენებული აკაკი ნაფეტვარიძე —სიძე იყო ამხ. ლებედევისა. გასული წლის დეკემბერში, თავისი სიძის აკაკი ნაფეტვარიძის და კიდევ სხვა ოჯახის წევრების ავადმყოფობის დროს, ამხ. ლებედევი დიდ გაჭირვებას განიცდიდა მატერიალურათ. ამიტომ ჩემი განკარგულებით, ამიერ-კავკასიის საბაჟოების [illegible] კაპიტალიდან, ერთდროული დახმარების სახით, მიეცა ამხ. ლებედევს 24 მილიონი მანეთი, რომლის დანიშნულება სრულებით არ იყო ვინმეზე გადაცემა.

მე მგონია, მარტო ეს ადგილი ამხ. ლიმაშის წერილში ნათლად აშუქებს მთელი მასალის სიყალბეს...

ვინ მიაწვდიდა ასეთ „მასალებს“ ამხ. ლიმაშს სერიოზული გაზეთის და მისი მკითხველების შეცდომაში შესაყვანათ?

— მე მგონია ის ადამიანები, ვისი ბოროტმოქმედება და არა საქმიანობა ტფილისის საბაჟოში გააშუქა ჩემ მიერ დანიშნულმა სარევიზიო კომისიამ ამხ. ლებედევის თავმჯდომარეობით...

ამიერ-კავკასიის საბაჟოების სამმართველოს უფროსი: ვირაპი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— **საქართველოს კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის მე-2-რე რაიკომი** წინადადებას აძლევს ქვემო ჩამოთვლილ ამხანაგებს გამოცხადდენ რაიკომში სამშაბათს, 13 ნოემბერს საღამოს 7 საათზე.

მეგვევორიანი, მეგრაბიანი, არაბაჯიანი, გრიშჩენკო, ხარმაკდარიანი, ალამალოვი, როხლინი, მიქაძე, ნუცუბიძე გალაქტ., ტრაპაიძე (ა. კ. საოლქო კომიტეტი), თალაკვაძე სევასტი, ვოლი, მარკარიანი და გინსბურგი.

ყველა ზემოაღნიშნულ ამხანაგების გამოცხადება სავალდებულოა.

მდივნის მაგიერ ნაზაროვი.

— ს. კ. პ. ტფილისის კომიტეტი შაბათს, 10 ნოემბერს, დღის თორმეტ საათზე, იწვევს სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების კოლეგიის **თათბირს** დღის წესრიგი: 1. მუშკორების შესახებ. 2. სკოლისა და წრეების მოწყობის შესახებ. 3. კლუბებში მუშაობა. 4. კომკავშირში პოლიტ-ცოდნის გამორკვევის შესახებ. 5. მიმდინარე საქმეები.

მოწვეულნი არიან რაიკომების სააგ.-საპრ. განყოფილებათა. ს. პ. კ. ს. კულტ-განყოფილების, ს. კ. ა. კ. ტფილისის კომიტეტის, კავკასიის ცალკე არმიის და ქალთა განყოფილების წარმომადგენლები. დასწრება სავალდებულოა.

ტფ. კომიტეტის სააგ.-საპრ. განყოფილების გამგე: მ. ესსენი.

პროფესიული

საბჭოთა მუშაკების პროფკავშირის ცენტრალურ გამგეობის სამდივნო ამით აცხადებს, რომ საქალაქო კონფერენცია, რომელიც მოწვეული იყო 11 ამა ნოემბერს, სრულიად საქართველოს მესამე ყრილობაზე დელეგატების ასარჩევად გადადებულია 12 ნოემბრისათვის საღამოს 5 საათზე პროფსაბჭოს პატარა დარბაზში.

კონფერენციის დელეგატების კომპარტიის წევრების სხდომა მოწვეულია 11 ნოემბერს დილის 10 საათზე კავშირის ბინაზე.

განათლების მუშაკთა სახლში.

— 10 ნოემბერს, საღ. 5 საათზე, პროფ. თვალჭრელიძის ხელმძღვანელობით პრაქტიკული მეცადინეობა მინერალოგიაში.

— 10 ნოემბერს, საღ. 7 ნახ. საათზე, პოტონოვას საზოგადო მოხსენება სახვითი ხე-

— 10 ნოემბერს, საღ., 6 საათზე დაიწყება გ. ნათაძის ლექციები საზოგადოებრივ მეტყველებაზე ქართულ ენაზე.

ლოვნების მორიგი ამოცანები. სავალდებულოა დასწრება ხატვის ყველა მასწავლებელთა და სკოლების გამგეების.

— 12 ნოემბერს, ორშაბათს, საღ. 7 საათზე, დანიშნულია ყველა ტექნიკურ თანამშრომელთა კრება პოლიტგანათლების წრის საორგანიზაციოდ.

— 13 ნოემბერს, საღ. 6 საათზე, პოლიტეკონომიის წრის სხდომა რუსულ ენაზე მანაკინის მოხსენება პოლიტეკონომიის საგანი.

ორშაბათს, 12 ნოემბერს, საღ. 7 ს., ფიზიკო-მათემატიკის წრეში რუსულ ენაზე კალიშევსკის მოხსენება პირველი კონცენტრის ფიზიკის კურსის შესახებ 7 წლედში თამამშევის ალგებრული ელემენტი ოთხ წლედში.

პერელმანის წიგნის რეცენზია.

ფიზიკური ქრესტომატია.

ამავე დღეს საღ. 6 საათზე, ფიზიკისა და მათემატიკის პროგრამის შედგენის კომისიის სხდომა.

13 ნოემბერს, საღ. 7 საათზე, მათემატიკური წრის სხდომა სომხურ ენაზე.

განათლების მუშაკთა სახლის გამგე შიუკაშვილი.

საქმეთა მმართველი ბარამიძე.

განცხადებები

გულდამწუხარენი და უნუგეშო მშობლები—დედა ხინო და მამა ანდრონიკე, დები: მარიამი, ანნა, ელენე, თამარი და ბარბალე, ძმა ვასილი იოსავები, სიძენი ემნუელი ფორდი, ზაქარია ჯორჯაძე, დისწული გლედის—ნინო აუწყებენ ნათესავებსა და მეგობრებს, რომ მათის ძვირფასის და დაუვიწყარის

გიორგი (ჟორჟიკა) იოსავას

სტამბოლში უდროვოთ გარდაცვალების ნახევარ წლის თავზე სულის მოსახსენებელი პანაშვიდი გადახდილ იქნება კალოუბნის ეკლესიაში გიორგობისთვის 11, კვირას ნაშუადღევის 1 საათზე. 1—1

კვირას, 11 ნოემბერს, 3 საათზე გადახდილი იქნება წმინდა ნინოს ეკლესიაში წირვა და პანაშვიდი ერთი წლის წინათ ტრაღიკულათ დაღუპული

ბესარიონ (იგივე ვასო) პატას ძე სურმავასი

რასაც აუწყებენ ნათესავ-ნაცნობ მეგობრებს დედა ედუკია სარჩიმელიას ასული სურმავასი; ძმა დომენტი, ბიძაშვილები: ალექსანდრე და ერასტო სურმავები; დის შვილი: მატრონა ფაციას ასული; ბიძაშვილის ცოლი ეფროსიმე წულაიას ასული სურმავასი—პატარა დომენტი და მიშა სურმავები.

128—2—1

ელექტრონის და სინათლის
სამკურნალო
საწოლებით [illegible]
მიხეილ გედევანიშვილის ხელმძღვ.
[illegible] და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ [illegible] ექიმობას საჭიროებენ.
სამკურნალო სწარმოებს ექ. სვიმონ ყიფშიძის ხელმძღვ.
[illegible] ტფილისი, [illegible] ქ. № 20. (126 25—1)

საბავშვო საკონსულტაციო-სამკურნალო კაბინეტი ექიმი ქალის
გ. დ. ხანცინის
მედიცინის ექიმის ვ. ვ. შენგელიძის
მუდ. კონსულტაციით. მიღება ყოველდღე (გარდა კვირისა) 2-დან—4 საათამდე. ძუძუმწოვარ ბავშვთათვის კონსულტაცია—ოთხშაბათობით და შაბათობით. კრუზენშტეინის ქუჩა № 1. (რუსთაველის პრ. კუთხე) ტელ. № 18—14. (46—25—18)

სამკურნალო კაბინეტი
ექიმი ვ. ვ. მეგრაბიანცისა
რენტგენის ელექტრო-სხივებით და სინათლით ექიმობა
ყოველ დღე 9—1 ს. და 6—8 ს. საღ. ბებუთოვის ქუჩა № 23.
78 25—11

ქ. ტფილისის 1-ლი უბნის სახალხო სასამართლო იწვევს მემკვიდრეებს გარდაცვალებულ გრიგორი არუთინის ძე აკოფიანცის დარჩენილ ქონებაზე, რათა განაცხადონ თავიანთი უფლებანი ორი თვის ვადაში.

სახალხო მოსამართლე.

127—1—1

დავკარგე პასპორტი გაცემული მერვე კომისარიატიდან ალექსანდრე ნატროშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 125—1—1

დავკარგე პასპორტი არშენაკ გრიგოლის ძე მნაცაკანოვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 122 1—1

დავკარგე მეტრიკული ამონაწერი და რეგისტრაციის მოწმობა. № 374. ჩაითვალოს გაუქმებულათ. ირაკლი თედორეს ძე ისელიძე. 123 1—1

„ზარია ვოსტოკა“-ს სტამბა ამხ. წულუკიძის ქ. № 4.